



თვითმმართველობის დრო

საქართველოში ადგილობრივი მმართველობის განვითარების
პროგრამის № 6



საქართველოში ადგილობრივი მმართველობის



პროგრამის განხორციელების ფარგლებში ჩატარებული მუშაობების შედეგად

შინაარსი

თვითმმართველობის ხოლმისი სტრატეგიაში განიხილას.....	3
პარლამენტმა აღვიღო რივი თვითმმართველობის ხოლმისი პირველი მოსმენით მიიღო.....	3
45-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ პარლამენტის უმრავლესობას მიმართვა გაუგზავნა.....	6
პარლამენტს "თვითმმართველობის ხოლმისი" 48 - ე მუხლის აღტარებისას სთავაზობენ.....	8
პარლამენტის რეგიონული კოლეჯისა და თვითმმართველობის ხომიტატმა თვითმმართველობის ხოლმისი განიხილა.....	10
დავით ლოსაბერიძე - ვინც წარმართს მართვისთვის ხომენტად განიხილავს, დანებრანსაბულია, მის უწყობაში შეუშავებული თვითმმართველობის პროექტი ჩავარდას.....	11
პიობრ ჟუბა: თვითმმართველობის ამ რეფორმას რაღორი ცვლილბაბის მოტანა შეუძლია.....	15
არასპარლამენტო ოპოზიციამ აღვიღო რივი თვითმმართველობის რეფორმის განხილვაში ჩართვას იტხოვს.....	18
არასპარლამენტო (დემოკრატული) ოპოზიციის შენიშვნები "თვითმმართველობის ხოლმისი" პროექტზე.....	20
თვითმმართველობის შესახებ: კოლეჯისოსების ფიცი მნამს, მგრამ ბოლო მას პირვებს.....	21
თვითმმართველობის ხოლმისთან დაჯავრებული მოვლენების ქრონიკა.....	23

თვითმმართველობის ხოლმესი სტრასბურგში განიხილეს



დოკუმენტს, რომ რეკომენდაციები ხოლმესთან მიმართებით ჰოზიტორი იქნება. "საქართველოს მთავრობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ითანამშრომლოს ევროსაბჭოსთან განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება თვითმმართველობის რეფორმას. განვიხილეთ როგორც მთლიანად ხოლმესი, ისე მისი ცალკეული მუხლები. შემოძლია ვთქვა, რომ ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი მთლიანობაში მხარს უჭერს იმ გზას, რომელსაც საქართველოს მთავრობა ირჩევს", - განაცხადა მუხვედრის შემდეგ თენგიზ შერგელაშვილმა.

თვითმმართველობის ხოლმესის პროექტი სტრასბურგში, ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის პირველმა პირებმა განიხილეს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი და მთავრობის კანცელარიის თვითმმართველობებთან და რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირაკლი მელაშვილი ვიზიტის ფარგლებში ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის გენერალურ მდივანს, ანდრეას კიფერს შეხვდნენ, როგორც მუხვედრიდან გაიჩვენა, ევროსაბჭოს მალაჩინოსნები საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტის ძირითად პრინციპებს დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობებისთვის რეალური უფლებამოსილებების მინიჭების თაობაზე იხიარებენ. ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი საკუთარ რეკომენდაციებს თვითმმართველობის ხოლმესთან დაკავშირებით საქართველოში უახლოეს პერიოდში გამოაგზავნის. ქართული დელეგაცია იმე-

ამასთან, ირაკლი მელაშვილის განცხადებით, უახლოეს დღეებში საქართველოში გამოიგზავნება დასკვნა, რომლის მიღებაც კანონპროექტის მეორე მოსმენამდე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის გენერალური მდივანის, ანდრეას კიფერის განცხადებით, კონგრესი თვალყურს ადევნებს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმას, რომლის მიზანსაც რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერება წარმოადგენს. "მარშან მონიტორინგის ანგარიშის გაცნობის შემდეგ, კონგრესმა რეკომენდაციები შეიმუშავა, ხოლო ამჟამად, მონიტორინგის შემდგომი ღონისძიებების სახით, მუდმივ კონტაქტში ვიმყოფებით. ჩვენ მზადყოფნას გამოვთქვამთ, გავცნოთ საკანონმდებლო დოკუმენტის საბოლოო ვერსიას და განვიხილოთ საპარლამენტო კენჭისყრის შედეგები მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად. მინისტრის მოადგილე ჩვენი კონგრესის მომდევნო მუხვედრაზე უკვე მოვიწვიეთ", - განაცხადა ანდრეას კიფერმა.

პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის ხოლმესი პირველი მოსმენით მიიღო

პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის ხოლმესი პირველი მოსმენით, 82 ხმით არცერთის წინააღმდეგ, მიიღო. მიღებული ხოლმესით რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ორგანიზების, მუ-

ნიციპალიტეტის უფლებამოსილებების და მისი ორგანოების, ასევე, დედაქალაქის სტატუსის და მისი უფლებამოსილებების საკითხები. ხოლმესის თანახმად, საქართველოში 5-ის ნაცვლად 12 თვითმმართველი ქალაქი იქნება, სადაც მერს პირდაპირი წესით აირჩევა მოსახლეობა.



ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიმართ საზოგადოების აზრი ორად გაიყო. ხალხის ნაწილი აღნიშნულ კოდექსს რევოლუციურ, დემოკრატიული განვითარების ახალ ეტაპად მიიჩნევდა თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თვითმმართველობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში რისკებს ხედავდნენ. თვითმმართველობის რეფორმას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ იგი საქართველოს დაშლისკენაა მიმართული.

"ეს თუ განხორციელდა, ჩვენ მივალთ საქართველოს დაშლისაკენ, დარღვევისაკენ. ჩვენ არასდროს არ შევურიგდებით ამას და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს არ შესრულდეს. ყოველი რაიონი უნდა უშუალოდ დაკავშირებული იყოს ჩვენს ხელისუფლებასთან, ამას არ სჭირდება შუალედი, შუა რგოლი. ხელისუფლება თვითონ უნდა განიხილავდეს ყოველი რაიონის გაჭირვებას. რატომღაც ზოგიერთი ცდილობს, რომ კანონი სასწრაფოდ უნდა იყოს მიღებული. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს განხილული მთელი ერის მიერ. ხალხმა უნდა იმსჯელოს რა არის მისათვის საქართველოსთვის. ამიტომ, არ უნდა ვიჩქაროთ. ხალხი უნდა გაეცნოს თვითმმართველობის ამ კანონს. მე მინდა დიდი პატივისცემით მივმართო ჩვენს პარლამენტს და ხელისუფლებას, გაითვალისწინონ ეს საშიშროება და ნუ ავჩქარდებით ამის მიღებაში", - განაცხადა პატრიარქმა ქადაგებისას.

პატრიარქის განცხადებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. აზრი გაიყო უმრავლესობაშიც. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამარ კორძაიას განცხადებით, პატრიარქი ზედმეტად ერევა სახელისუფლებო ფუნქციებში: "როდესაც პატრიარქი მოუწოდებს ხელისუ-

ფლებას დაფიქრებისაკენ და იმისაკენ, არ მივიღოთ ეს თვითმმართველობის კოდექსი ნაჩქარევად, ალბათ ჯობდა, რომ თვითონაც გაიზაროს იმ მყაფიო განცხადებების რისკი, რასაც აკეთებს ქადაგების შემდეგ. არ შეიძლება პატრიარქი აკეთებდეს განცხადებას იმის თაობაზე, რომ რისკებს შეიცავს თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ნახევარზე მეტს წაყითხული არ აქვს თავიდან ბოლომდე. ამიტომ, თუ პატრიარქი მოუწოდებს საზოგადოებას აქტიური დისკუსიისაკენ, მან შეფასება არ უნდა გააკეთოს, რა რისკებს შეიცავს ეს კოდექსი. ვფიქრობ, რომ საპატრიარქო ასეთი ტიპის განცხადებებით ზედმეტად ერევა სახელისუფლებო საქმიანობაში და, ჩემი აზრით, საპატრიარქოს და სახელისუფლებო ფუნქციები და მოვალეობები ნამდვილად ერთმანეთისგან გამიჯნულია და გამიჯნული უნდა იყოს", - განაცხადა კორძაიამ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ სრულიად ბუნებრივია ამ საკითხის მიმართ ასეთი დიდი ყურადღება, თუმცა, მისი განმაცებით, არასწორი კონცეფციაა, თითქოს თვითმმართველობამ შეიძლება გააღვივოს სეპარატიზმი და თითქოს თვითმმართველობა რაიმე ფორმით საფრთხეს უქმნის ქვეყნის ერთიანობას.

არასაპარლამენტო ოპოზიციამ წერილობით მიმართა პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს და თვითმმართველობის კოდექსის პროექტთან დაკავშირებით არსებული შენიშვნები გააცნო. "ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულმა თვითმმართველობის კოდექსის პროექტმა განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია. სამწუხ-

აროა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი არ იყო განხილული ოპოზიციურ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან. გარდა ამისა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არ განხორციელებულა ძირითადი ცვლილებები საარჩევნო სისტემებში, რომელსაც ერთობლივად ვაფასებდით როგორც ანტიდემოკრატიულს უახლოეს წარსულში", - ნათქვამია არასაპარტამენტო ოპოზიციის მიმართვაში.

არსებული ვითარების გათვალისწინებით არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოს მთავრობას და პარლამენტს მიმართეს და მოუწოდეს არ აყენენ თვითმმართველობის იდეის დისკრედიტაციის ტალღას და არ შეაჩერონ რეფორმის პროცესი. თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების პროცესთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას ხელი 24-მარასამთავრობო ორგანიზაციამ მოაწერა.

საბოლოო ჯამში ყოველწილის სადავო ნაწილში გარკვეული ცვლილებები შევიდა. ცვლილებების თანახმად, ყოველწილში თავდაპირველად არსებული მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებები, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებად გარდაიქმნება. საკონსულტაციო საბჭო მონაწილეობას მიიღებს კონსულტაციებსა და განხილვებში. აღნიშნული ინიციატივა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გია ყორყორიანმა დააყენა და მას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი დაეთანხმა.

კანონპროექტში შესულ ცვლილებებს საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები გამეხმაურნენ და იგი უარყოფითად შეაფასეს. 45მა არასამთავრობო საპარლამენტო უმრავლესობას მიმართვა გაუგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან "კონსენსუსის" შედეგად კანონპროექტის ძირითადი სიახლეები გაუქმდა:

- შეიზღუდა თვითმმართველი ქალაქების ჩამოყალიბების შესაძლებლობები
- გაურკვეველია გამგებლების და მერების პირდაპირი არჩევის საკითხი
- თბილისის მოსახლეობა ვერ შეძლებს, საუბნო პრობლემები საკუთარი შეხედულებების მიხედვით მოაგვაროს
- თვითმმართველობებს აღარ მიეცემათ გუბერნატორების კონტროლის შესაძლებლობა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, აღარ დაინერგება საზოგადოებრივი საბჭოე-

ბი - საზოგადოების მონაწილეობის და კონტროლის მექანიზმები ქალაქად და სოფლად არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ კანონპროექტის მსგავსი სახით მიღება არათუ ხელს შეუწყობს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას, არამედ გაამყარებს უკვე არსებულ ცენტრალიზებულ სისტემას. ამასთანავე, მათი აზრით, იგი წარმოადგენს წინასაარჩევნო დაპირებებისა და დეკლარირებული რეფორმის სტრატეგიის უგულებელყოფას. რაც მათ უჩენს ეჭვს, რომ ხელისუფლებაში არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ არსებული სისტემის შენარჩუნებას.

"ვწახვარო, რომ ახალი მმართველი პოლიტიკური ძალა ძველის შეცდომებზე არ სწავლობს. არსებული სიტუაცია ძლიერ ჰგავს 2005 წელს განვითარებულ პროცესებს, როცა ხელისუფლებამ ვერ ან არ გამოიყენა ძირითადი რეფორმირების შანსი და, შედეგად, ჯერ დაეარგა საზოგადოების მხარდაჭერა, შემდეგ კი ხელისუფლების დათმობა მოუხდა. იმედს ვიტოვებთ, საქართველოს პარლამენტის წევრები აცნობიერებთ პასუხისმგებლობას საქართველოს მოსახლეობის, თქვენი ამომრჩევლების წინაშე და არ გაუშვებთ ხელიდან ადგილობრივი დემოკრატიის დამკვიდრების შესაძლებლობას." - ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში.

"ქრისტინან-დემოკრატიის" წევრი ლევან ვეფხვაძე ამბობს, რომ ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და ეს კარგია: "კარგია, რომ ხელისუფლება წავიდა დათმობაზე და საბჭოები იმ ფორმით, რა ფორმითაც თავიდან იყო გათვალისწინებული, აღარ შეიქმნება, არ იქნება ეს საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ქვეყნის სეპარაციის საფრთხე აღარ იარსებებს. მეორე თემა უკავშირდება რეალური თვითმმართველობის განვითარებას. ჩვენი მუდმივი მოთხოვნაა, რომ ყველა სოფელმა თავად უნდა აირჩიოს საკუთარი პირველი პირი. ხელისუფლებას აქვს უმთავრესი ვალდებულება ჩაატაროს ნორმალური ადგილობრივი არჩევნები და ნორმალური არჩევნები როგორ უნდა ჩატარდეს, როცა არ ვიცით, თვითმმართველი ქალაქების გამოყოფის შემდეგ რა სტრუქტურას ვირჩევთ და როგორ ვირჩევთ? 6 თვე დარჩა არჩევნებამდე და მოვუწოდებთ ხელისუფლებას გონივრულ ვადებში მოაგვაროს ეს პრობლემა."

უმცირესობის წევრის, გიორგი ვაშაძის თქმით, სამწუხაროდ, თვითმმართველობის ყოველწილი უკვე არის არა თვითმმართველობის, არამედ მმართველობის ყოველწილი: "ორი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს: გუბერნატორის ინსტიტუტი არ უნდა იყოს

თვითმმართველობის კანონში, რომელსაც ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლება და არჩეული მერების და გამგებლების გადაყენება ყოველ მიზეზგარეშე, ნებისმიერი საფუძვლით არ უნდა შეეძლოს საკრებულოს. "უმცირესობა პრობლემას ფინანსებშიც ხედავს. კერძოდ, მათი თქმით, კოდექსის ამ ვარიანტში საუბარი არ არის ფინანსურ დეცენტრალიზაციაზე, ხოლო თუ ფინანსური დეცენტრალიზაცია არ მოხდა, მაშინ თვითმმართველობის ჩამოყალიბებას აზრი არ აქვს. არასამთავრობო ორგანიზაციები "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" და "ახალგაზრდა ოურისგთა ასოციაცია" განცხადებას ავრცელებენ. მათი შეფასებით, "ადგილობრივი თვითმმართველობის" კოდექსის პარლამენტისთვის შეთავაზებული პროექტი მერებისა და გამგებლების ინსტიტუტის მნიშვნელობას ამცირებს.

"საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი "ადგილობრივი თვითმმართველობის" კოდექსის პროექტით შემოთავაზებულია ისეთი მნიშვნელოვანი სიახლე, როგორცაა გამგებლების (მერების) პირდაპირი წესით არჩევა, რაც, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაციების მოთხოვნას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებს ნორმას, რომელიც არჩევითი მერებისა და გამგებლების ინსტიტუტის მნიშვნელობას ასუსტებს. კერძოდ, საუბარია კოდექსის პროექტის 48-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს პირდა-

პირი წესით არჩეული გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადების პროცედურას. აღნიშნული საკითხის ინიცირების უფლება აქვს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს ან მუნიციპალიტეტის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 20%-ს.

ორგანიზაციების შეფასებით, თანამდებობის პირების პირდაპირი წესით არჩევის მიზანს წარმოადგენს, უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის ორგანოთა ფორმირებაში, არჩეული თანამდებობის პირის/ორგანოს სტაბილურობა და დამოუკიდებლობა.

"საკრებულოსთვის მსგავსი უფლების მინიჭების შედეგად მივიღებთ იმავე რეალობას, რაც დღეს მოქმედი კოდექსით არის დადგენილი, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარეს შეუძლია თანამდებობიდან გაათავისუფლოს გამგებელი საკრებულოს თანხმობით, რისი სამწუხარო მაგალითებიც მრავლად ვნახეთ 2013 წლის განმავლობაში. შესაბამისად, ასეთი დათქმა ამცირებს ამ თანამდებობის პირების პირდაპირი წესით არჩევის არსს და მნიშვნელობას. - განმარტებულია განცხადებაში.

27 დეკემბერის პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" პროექტის შესახებ მოხსენება მოისმინა, ხოლო პლენარულ სხდომაზე მის განხილვას მუხლობრივად იანვარში, რიგგარეშე სესიაზე დაუბრუნდება.

45-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ პარლამენტის უმრავლესობას მიმართვა გაუგზავნა

საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ კანონპროექტი წარმოადგენდა მმართველ პოლიტიკურ ძალაში შეთანხმების შედეგად მიღწეულ კომპრომისულ ვარიანტს. ჩვენი აზრით, შეთავაზებული მოდელი სრულად არ ასახავდა ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებების, მთავრობის მიერ 2013 წლის 1 მარტს დეკლარირებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სტრატეგიის პრინციპებს. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა მაინც დავუჭირეთ მხარი მას, ვინაიდან ჩავთვალეთ, რომ ეს იქნებოდა პირველი, პრინციპული და შეუქცევადი ნაბიჯი ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის

- დამკვიდრების გზაზე.
- სამწუხაროდ, კანონპროექტის საპარლამენტო განხილვის დაწყებამდე მოხდა მმართველი კოალიციის შეთანხმება არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, რამაც, ეფემერული საფრთხეების ბრალდებით, კანონპროექტის ძირითადი სიახლეების გაუქმება გამოიწვია. ამ „კონსენსუსის“ შედეგად:
- შეიზღუდა თვითმმართველი ქალაქების ჩამოყალიბების შესაძლებლობები
 - გაურკვევლია გამგებლების და მერების პირდაპირი არჩევის საკითხი
 - თბილისის მოსახლეობა ვერ შეძლებს, საუბ-



თვითმმართველობის ეიონა!

ნო პრობლემები საკუთარი შეხედულებების მიხედვით მოაგვაროს

□ თვითმმართველობებს აღარ მიეცემათ გუბერნატორების კონტროლის შესაძლებლობა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, აღარ დაინერგება საზოგადოებრივი საბჭოები - საზოგადოების მონაწილეობის და კონტროლის მექანიზმები ქალაქად და სოფლად მიგვაჩნია, რომ ეს „კონსენსუსი“ არათუ ხელს შეუწყობს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას, არამედ გაამყარებს უკვე არსებულ ცენტრალიზებულ სისტემას. ამასთან, ის წარმოადგენს წინასაარჩევნო დაპირებებისა და დეკლარირებული რეფორმის სტრატეგიის უგულებელყოფას. საქართველოს პარლამენტის ამგვარი ქმედება აჩენს ეჭვის საფუძველს, რომ თავად ხელისუფლებაში არიან ძალები, რომლებიც ყველა საშუალებით ცდილობენ არსებული სისტემის შენარჩუნებას.

ვწახვართ, რომ ახალი მმართველი პოლიტიკური ძალა ძველის შეცდომებზე არ სწავლობს, არსებული სიტუაცია ძლიერ ჰგავს 2005 წელს განვითარებულ პროცესებს, როცა ხელისუფლებამ ვერ ან არ გამოიყენა ძირეული რეფორმირების შანსი და, შედეგად, ჯერ დაჯარგა საზოგადოების მხარდაჭერა, შემდეგ კი ხელისუფლების დათმობა მოუხდა.

იმედს ვიტოვებთ, საქართველოს პარლამენტის წევრები აცნობიერებთ პასუხისმგებლობას საქართველოს მოსახლეობის, თქვენი ამომრჩევლების წინაშე და არ გაუშვებთ ხელიდან ადგილობრივი დემოკრატიის დამკვიდრების შესაძლებლობას.

- 1.სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი (ICCC)
2. ასოციაცია „ევიტას გეორგიჯა“

3. სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
4. სამოქალაქო საზოგადოების კვლევისა და განვითარების ცენტრი
5. ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ქსელი
6. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
7. გორის საინფორმაციო ცენტრი
8. კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი
9. ფონდი “ლიბერალური აკადემია თბილისი”
10. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“
11. კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი-კავკასიური სახლი
12. მწვანე კავკასია
13. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)
14. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
15. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
16. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება
17. თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი
18. საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალფეროვანი საქართველო“
19. დემოკრატ მესხთა კავშირი
20. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
21. ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი
22. თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტი
23. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“
24. ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი
25. იძულებით გადაადგილებულ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობა“
26. ასოციაცია „გორის ინვალიდთა ცენტრი“
27. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევების ცენტრი
28. საქართველოს გაეროს ასოციაცია
29. ფონდი „ტასო“
30. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

- ბის ცენტრი
- 31. ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი
- 32. საზოგადოებრივი დამცველი
- 33. მრავალენოვანი საქართველო
- 34. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები
- 35. საზოგადოებრივი მონიტორინგისა და კვლევის ცენტრი
- 36. უსაფრთხო სივრცე
- 37. ორგანიზაცია „ბორჯღალი“
- 38. ადამიანის უფლებათა ცენტრი

- 39. სამოქალაქო ინიციატივა
- 40. ჯავშირი „ნუკრიანი“
- 41. იმერეთის მხარის მეცნიერთა ჯავშირი
- 42. გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი
- 43. ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
- 44. არასამაგვრობო ორგანიზაცია „უკეთესი მომავლისათვის“
- 45. არასამთავრობო ორგანიზაცია „ტოლერანტი“

პარლამენტს "თვითმმართველობის ჯოდექსის" 48 - ე მუხლის ალტერნატივას სთავაზობენ

თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის საინტეგრაციო მრჩეველთა საბჭოს წევრების ჯოდექსის ანგარიშის და მათთან ახლოს მდებარე საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკანონმდებლო პარლამენტისადმი შეთავაზებული „თვითმმართველობის ჯოდექსის“ 48-ე მუხლის ალტერნატივა

„საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პირვანდელ ვარიანტში, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას იღებდა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭო, გათვალისწინებული იყო პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო ხმის საფუძველზე მოქალაქეთა მიერ არჩეული გამგებლის (მერის) გადარჩევის პროცედურა. 2013 წლის 30 ოქტომბერს მთავრობის მიერ დამტკიცებულ კანონპროექტში ის შეიცვალა საკრებულოს მიერ გამგებლის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადებით (48-ე მუხლი), და შემდგენაირადაა განსაზღვრული: „გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირების საფუძველია საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან მუნიციპალიტეტის რეგ-



ისტორიულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%-ის წერილობითი შუამდგომლობა გამგებლისთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე.“

ამ მუხლში „მუნიციპალიტეტის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%-ის წერილობითი შუამდგომლობის“ მეშვეობით გამგებლის (მერის) გადაყენების უფლება მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს მხოლოდ ფორმალურად ენიჭებათ, რამდენადაც შემდეგი (მე-2 პუნქტი) საკრებულოს აძლევს საშუალებას, ბლოკირება გაუკეთოს ამომრჩეველთა 1/5-ის მოთხოვნას და გადაყენების პროცედურა არ განახორციელოს, თუ, სულ ცოტა, მის წევრთა 1/3 მიემხრო ან, გარკვეული დაპირე-

ბების საფუძველზე, ფარულად გაურიგდა გამგებელს (მერს); „გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ შუამდგომლობას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ორი მესამედი. უნდობლობის გამოცხადება იწვევს გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტას.“

გარდა ამისა, კოდექსი არ ადგენს ამომრჩეველთა შუამდგომლობაზე ხელმოწერების ნამდვილობის დადგენის პროცედურას, რაც დოკუმენტის ლეგიტიმურობაში საფუძვლიანი ეჭვის შეტანის საფუძველი იქნება. საკრებულოს მუშაობაში ამგვარი პრაქტიკა არ არის და ხელმოწერების

შემომწმების მექანიზმს ჩვენი კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ საარჩევნო უმრავლესობის მიერ საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატთა მხარდაჭერებისა და რეფერენდუმის მოთხოვნის მომხრეთა სიების გადამოწმებისას. ეს ნაკლოვანება ახასიათებს „კოდექსის“ 87-ე მუხლსაც (საყრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირება პეტიციის წესით), სადაც პეტიციაზე ხელმომწმერთა რაოდენობა „მინიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ით“ არის განსაზღვრული. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „კანონით დადგენილი წესით შეტანილ პეტიციას რეგისტრაციაში ატარებს საყრებულოს აპარატი“, თუმცა არანაირი პროცედურა იმისა, როგორ უნდა გადაამოწმოს აპარატი ხელმომწმერთა ნამდვილობა, განსაზღვრული არაა, ანუ, ფაქტიურად, „კოდექსის“ მიხედვით, შუამდგომლობებისა და პეტიციების ხელმომწმერთა ნამდვილობის შემოწმება არ ხდება.

მსოფლიოს იმ ქვეყნებში სადაც კანონმდებლობაში შეტანილია არჩეულ თანამდებობის პირთა გადარჩევის მექანიზმები, აუცილებლად არის განსაზღვრული ხელმომწმერთა ვერიფიკაციის პროცედურებიც. მაგ., ვენესუელაში ჰუგო ჩავესის გადადგომის მოთხოვნით შეკრებილ ხელმომწმერთა დიდი ნაწილის არაამდვილობა ამ ქვეყნის ცენტრალურმა საარჩევნო საბჭომ დაადგინა.

გადაყენების პროცედურის დასაწყებად „კოდექსი“ არ ითხოვს რაიმე დასაბუთებას ან კანონმდებლობით განსაზღვრულ რაიმე დადასტურებულ საფუძვლებს. რეალობაში საყრებულოს წევრების, სულ ცოტა, ნახევარზე მეტის მხარდაჭერის მქონე (არჩევისას) და მათთან წლობით ყოველდღიურად მომუშავე საყრებულოს თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საქმიანობით დაკავებულ გამგებელთან (მერთან) შედარებით, ყოველთვის ექნება მეტი შანსი, მიიმხროს საყრებულოს წევრების საკმარისი რაოდენობა გადაყენების პროცედურის განხორციელებისთვის, მით უფრო, თუ საყრებულოში უმრავლესობასა და გამგებელს (მერს) შორის პარტიული ან სხვაგვარი დაპირისპირება მოხდა.

გასაგებია ის მოტივები, რის გამოც, შესაძლოა, შეტანილ იქნა ცვლილებები პირვანდელ ვარიანტში და, გადარჩევის პროცედურის ნაცვლად, გამგებლის (მერის) ხელისუფლების დასაბალანსებლად, საყრებულოს მიერ მისი გადაყენების პროცედურა იქნა შემოტანილი. ერთ-ერთი მიზეზი, სავარაუდოდ, გადარჩევის შემთხვევაში ენჭისყრის 2-ჯერადი (გადარჩევისა და ხელახალი არჩევებისათვის) ჩატარებისთვის თანხების გამოყოფის ეკონომია

იქნებოდა. ამ მიზნით, მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ხდება გადარჩევისა და უფლებამოსილების (მემკვიდრის) არჩევის პროცედურების კომბინირება (დროში თანხვედრა და შესაბამისი ყიბხვების ერთ ბიულეტენში მოქცევა); პირველი ყიბხვა ითხოვს ამომრჩევლების დასტურს მოქმედი თანამდებობის პირის გადაყენებაზე და მხოლოდ საკმარისი რაოდენობით შესაბამისი პასუხის შემთხვევაში ეძლევა იურიდიული ძალა მეორე ყიბხვით ამომრჩევლის მიერ შემცვლელის თაობაზე გაყეთებულ არჩევანს. თუმცა, ამგვარ გაერთიანებას თავისი უარყოფითი მხარეები გააჩნია: ამომრჩეველი იბნევა და აღარ ფოკუსირდება კონკრეტულად გადარჩევის საყიბხვებზე, ხდება ყურადღების გადატანა შესაძლო შემცვლელის პერსონის არჩევაზე. ფაქტიურად, ხელახალი არჩევნები იმართება იმ პირობებში, როცა კანონიერად არჩეულ თანამდებობის პირს უფლებამოსილება ჯერ შეწყვეტილი არ აქვს (ან მხოლოდ შეჩერებული აქვს).

თანხების ეკონომიის არგუმენტის გათვალისწინებისას, გადარჩევის პროცედურის გადაყენებით ჩანაცვლების გამო, არ არის გამორიცხული, აღმოვჩნდეთ ისეთ მდგომარეობაში, როცა „ძენნი ორჯერ ძვირს იხდის“: უნდობლობის პროცედურა გაცილებით მარტივად განსახორციელებელია და დამოკიდებულია მხოლოდ 10-20 ადამიანის (საყრებულოს წევრის) სუბიექტურ ნებაზე, მაშინ, როცა გამგებლის (მერის) არჩევაზე ნება გამოხატა მინიციპალიტეტის ათასობით ამომრჩეველმა. გარდა იმისა, რომ ეს არასამართლიანია, შესაძლოა მოხდეს გადაყენების პროცედურების ინიცირება ყოველ 6 თვეში, ანუ, 5-ჯერაც კი საყრებულოს ერთი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში (48.4. „უნდობლობის საყიბხვის ინიცირება და გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადება დაუშვებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩვიდან 6 თვის, ასევე გამგებლის (მერის) უფლებამოსილების ბოლო ერთი წლის განმავლობაში“). ამდენად, საყრებულოსთვის გამგებლის (მერის) გადაყენების უფლებამოსილების მინიჭება მინიციპალიტეტის პირველ პირს დამოკიდებულს ხდის საყრებულოს პოლიტიკურ და სხვაგვარ კონიუნქტურაზე, იმის ნაცვლად, რომ ის დამოკიდებული იყოს მთლიანად მოსახლეობაზე, რაც არის პირდაპირი წესით მისი არჩევის შემოღების არსის ნიველირება და თავად თვითმმართველობის რეალურად განხორციელება-საც რიგ შემთხვევაში საფუძვლებს გამოაცლის, მისცემს რა გამგებლის (მერის) გადაყენების და სასურველი კანდიდატურით ჩანაცვლების ფარულ ბერეკებს ცენტრალურ ხელისუფლებას. პირდაპირი (უშუალო) დემოკრატიის მექანიზმი - გამგებლის (მერის) გადარჩევის პროცედურა.

დერა, სამართლიანობისა და დემოკრატიული მექანიზმების სულისკვეთების თვალსაზრისით ლოგიკურად უფრო გამართულია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთავაზობთ 48-ე მუხლის შემდეგ ფორმულირებას:

„მუხლი 48. გამგებლის (მერის) გადარჩევა

1. გამგებლის (მერის) გადარჩევის პროცედურის ინიცირების საფუძველია საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის წერილობითი შუამდგომლობა გამგებლისთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე. შუამდგომლობა მიღებულად ჩაითვლება და წარედგინება საარჩევნო ადმინისტრაციას, თუ მას მხარი დაუჭირა საკრებულოს სიითი შემადგენლობის სამმა მეოთხედმა. შუამდგომლობის მიუღებლობის შემთხვევაში უნდობლობის საკითხი საკრებულოს სხდომაზე მომდევნო 6 თვის განმავლობაში არ შეიძლება დაისვას.

2. გამგებლის (მერის) გადარჩევის პროცედურის ინიცირების უფლება აქვს აგრეთვე მუნიციპალიტეტის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 25%-ს. შუამდგომლობა მიღებულად ჩაითვლება, თუ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ხელმოწერათა ნამდვილობის შემოწმების შემდეგ დადასტურდა, რომ საინიციატივო ჯგუფის მიერ ხელმოწერათა ბეგროვების დროს არ იქნა დარღვეული საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი პროცედურები და გადამოწმების შემდეგ ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა არ აღმოჩნდა ამ კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე ნაკლები.

კლები.

3. გამგებლის (მერის) გადაყენებისა და მისი უფლებამონაცვლის არჩევის საკითხზე ენჭისყრა ტარდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩეველთა შუამდგომლობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენიდან, ან საკრებულოს მიერ ამ მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 40 დღის ვადაში.

4. გამგებელი (მერი) გადარჩეულად, და, იმავდროულად, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით, არჩევნებში მონაწილე სუბიექტი მის უფლებამონაცვლედ არჩეულად ჩაითვლება, თუ გამგებლის (მერის) გადარჩევას მხარს დაუჭერს ენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი.

5. უნდობლობის საკითხის ინიცირება და გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადება დაუშვებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩვიდან 6 თვის, ასევე გამგებლის (მერის) უფლებამოსილების ვადის ბოლო ერთი წლის განმავლობაში.“

(განმარტება: გადარჩევის პროცედურისათვის აუცილებელი პროცენტის ოდენობა - 25% - შეესაბამება აშშ შტატების უმრავლესობის კანონმდებლობის ანალოგიურ მოთხოვნებს, მხოლოდ კალიფორნიის შტატში არის უფრო დაბალი -12% -იანი ზღვარი)

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტისა და თვითმმართველობის ხომალტბამ თვითმმართველობის ხოლქსი განიხილა

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა, მეორე მოსმენით, მუხლობრივად განიხილა მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და მისი თანმდევ კანონპროექტები. საკითხი სხდომაზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა გამოიტანა.

კანონპროექტების განხილვაში პარლამენტის წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. კანონპროექტის მრავალსათიანი, დეტალური განხილვის შედეგად, სხდომის მონაწილეები მრავალ საკითხზე შეჯერდნენ და კანონპროექტის ავტორებმა გარკვეული შენიშვნები და წინადადებები გაითვალისწინეს. დასასრულს, კომიტეტის წევრებმა, დამსწრეთა უმრავლესობით, მხარი დაუჭირეს კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განსახილველად გატანას.

დავით ლოსაბერიძე - ვინც ნარმანის მერობისთვის ხონაურებად განიხილავს, დაინტერესებულია, მის უწყაბაში შემუშავებული თვითმმართველობის პროექტი ჩაპარდეს

"ადგილობრივი მმართველობის ექსპერტთან" დავაპირებით საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებზე "ინტერპრესნიუსი" ისტორიკოსსა და ანალიტიკოსს, დავით ლოსაბერიძეს ესაუბრა.

- ბატონო დავით, საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ "ადგილობრივი თვითმმართველობის ექსპერტს" ბრძანა - "თუ ხანონი ამოქედდება, ეს საქართველოს დაშლა იქნება". ამ თემას საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა?

- ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის - პოზიტივიზმ და ნეგატივიზმი. როცა ხორციელდება რეფორმა, რომელიც თვისობრივად ახალ მმართველობაზე გადასვლას გულისხმობს, ყველგან არის დისკუსია და აზრთა სხვადასხვაობა. შეუძლებელია, მთელი ერი იყოს ერთ აზრზე, ერთნაირად აზროვნებდეს და ერთ გადაწყვეტილებას იღებდეს. დემოკრატიულ ქვეყნებში ამ ტიპის ცვლილებებს თან ახლავს მწვავე პოლემიკა, დაობენ ცალკეულ ნიუანსებსა და დეტალებზე. ეს აუცილებელია და რაც ახლა ხდება, მე ძალიან მახარებს.

ეპოქა, როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კულუარულად მიიღებოდა და მოსახლეობა მის შესახებ მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ იგებდა, წასრულს ბარდება. ვგულისხმობ

არა მარტო გასულ 20-წლეულს ანაც 70 წელს, არამედ, თუ გნებავთ გასულ ასწლეულსაც.

ჩვენთან აჟიოტაჟს კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ საზოგადოებას გაცნობიერებული არ აქვს მმართველობის ახალ ფორმაზე გადასვლა როგორ და რანაირად მოხდება. ჩვენ პოსტკოტალიტარული სახელმწიფო ვართ, ანუ იქედან მოვდივართ, სადაც მმართველობის სისტემა აგებული იყო ერთიან ადმინისტრაციულ ვერტიკალზე. ახლა საქართველო აკეთებს არჩევანს - უნდა, იყოს ევროპული ფასეუ-

ლიტატურის მზგავსი მმართველობა, რომელიც იგივე საბჭოთა რეჟიმს ახასიათებდა. ამ უკანასკნელის მმართველობა თემურ ლენგმა გამოხატა თავის ლოზუნგში - ერთი მზე, ერთი მზრძანებელი. ანუ ჩვენ, ქართველმა ერმა, ახლა უნდა გავაკეთოთ არჩევანი, როგორი მმართველობა გვინდა.

ბუნებრივია, ეს უკავშირდება ასევე იმას, განვითარების თუ რა გზა უნდა აირჩიოს ხალხმა, რა ტრადიციები გვაქვს ამ თვალსაზრისით. რაც უნდა საწყენი იყოს ჩვენთვის, დავივიწყეთ საკმაოდ საინტ-



ლობების, ადამიანის უფლებების დაცვის პატივისმცემელი, ანუ იმის გამოხარებული, რაც დასავლურ ქრისტიანულ ცივილიზაციად მოიაზრება, თუ უნდა, გქონდეს აზიური ტიპის

ერესო ღირებულებები, რომელიც საქართველოს ისტორიულად ახასიათებდა. ყველას, ვინც ამ საკითხებით დაინტერესებულია, ვურჩევ წაიკითხოს თუნდაც ილია

ჭავჭავაძის წერილების ორი ციკლი "სოფლის მონყოლის თაობაზე". ეს არის ის, რაც ილიას გარდაცვალებიდან 100 წლის შემდგომ საფუძვლად დაედო თვითმმართველობის ევროპულ ქარატიას. რა თქმა უნდა, არა ილიას გამო, ევროპელებმა ის აქციეს სამოქმედო პრინციპად, რასაც საქართველოში მმართველობის შესახებ ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა. მეორე საკითხია ღირებულებათა საკითხი. აქ უკვე ცოტა ნეგატიურში გადავდივართ. ეს გახლავთ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების სურვილი, არანაირად არ დაუშვან რეფორმა, რისთვისაც იყენებენ დეზინფორმაციის საკმაოდ ცუდ მეთოდებს. არასწორ ინფორმაციას აწვდიან არა მარტო საპატრიარქოს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. რეფორმის მონინალმდევრებს რეგიონებში გააქვთ სულ სხვა ინფორმაცია. პატრიოტულად განწყობილ საზოგადოებას ეუბნებიან, თითქოს რეფორმა ეთნიკური უმცირესობების გაბატონებას ითვალისწინებს. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ავცელებენ ხმებს, თითქოს რეფორმის შედეგად ქართველთა მონოპოლია დაწესდება. ყველას აქვს უფლება, ბევრ რამეში შეიტანოს ეჭვი, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს კონკრეტული. ანუ, კოდექსის რომელი მუხლი იწვევს საფრთხეს და რეალურად ქმნის საფრთხის საფუძველს. სამწუხაროა, რომ კოდექსის კრიტიკოსები საკითხის მუხლობრივ განხილვაში მონაწილეობას გაურბიან და ძირითადად ხმაურიანი პოლიტიკური განცხადებებითარინდაყვები.

- "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" პროექტში თქვენთვის ყველაზე ღირებული რა არის? და კიდევ, თქვენი ოპონენტთა უმრავლესობა ხშირად საუბრობს იმაზე, რომ კოდექსის მე-7 კარი ქვეყნისათ-

ვის ყველაზე სახიფათოა. მათთვის, ვინც ასე ფიქრობს, როგორი იქნება თქვენი პასუხი?

- ყველაზე ღირებულია რამდენიმე პრინციპი - 1. თვითმმართველობა არ უნდა წარმოადგენდეს სხვადასხვა საჭიროებებისა და გაერთიანების კონგლომერატს. უნდა იყოს ჰომოგენური, ანუ მსგავსი ინტერესებით გაერთიანებული, ისტორიულად, ტრადიციულად და ეკონომიკურად ჩამოყალიბებული სივრცეები, სადაც ადამიანთა უმეტესობას აქვს საერთო ინტერესი. ეს არის ერთ-ერთი პრინციპი, რასაც ეუფნება კოდექსი ქალაქებისა და სოფლების დონეზე. მეორე გახლავთ ის, რასაც ჰქვია მოსახლეობისათვის ჩართულობის ინსტრუმენტების მიცემა. დემოკრატიულობანას თამაში ყი არ უნდა იყოს, არამედ საზოგადოება რეალურად უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში და არსებობდეს ამ გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი. ანუ, საუბარია მოქალაქეთა რეალური უფლებების ცხოვრებაში გატარებაზე. ვგულისხმობ იმ უფლებებს, რაც ყველგან თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთნება და ჩვენთანაც უნდა განეკუთნებოდეს.

აქ საუბარი არ არის პოლიტიკურ უფლებებზე, ამისათვის არსებობს პარლამენტი. საუბარია წყლის, გაზის, ენალიზაციისა თუ სხვა საკითხების, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, თუ საბავშვო ბაღის პრობლემების ადგილზე მოგვარებაზე. როცა პროექტში საერთოდ არ არის და არც შეიძლება იყოს საუბარი თვითმმართველობის პოლიტიკურ უფლებებზე, გაუგებარია, კოდექსის ოპონენტები ამ საკითხებზე რატომ ამხავილებენ ყურადღებას. ოპონენტთა ნაწილი დასავლეთის ორგანიზაციებს აწ-

ვდიან ინფორმაციას, თითქოს კოდექსი ადგილობრივი ორგანოებისათვის უფლებების გადაცემაზე საერთოდ არაა საუბარი. ყარგი იქნებოდა, თუ ოპონენტები თუნდაც კვალიფიციურ ცილისწამებაში ჩამოყალიბდებიან. სიამოვნებით მოვისმენდი მათგან, თუ რა უფლებები გადაეცემათ ადგილობრივ ორგანოებს და იმასაც, თუ არ გადაეცემათ, რატომ არ გადაეცემათ.

კოდექსში საუბარია ისეთ საკითხებზე, რომლებიც ყველგან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაა. ნამდვილად არ ვიცი, რატომ არის ენალიზაციის ანაც წყლის საკითხის ადგილზე გადაწყვეტა პოლიტიკური საკითხი, რა საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამან სახელმწიფოს უსაფრთხოებას.

კოდექსში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გადანაწილების საკითხი. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა არ არის მდიდარი და კეთილდღეობის დონით არ გამოირჩევა.

ფაქტია, რომ ჩვენ შეზღუდული რესურსები გვაქვს, არსებული რესურსები უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საკმარისი არ არის, მაგრამ პირველ ეტაპზე საკმაოდ მარტივი და სამართლიანი პრინციპია შერჩეული. როცა ჩვენ 10 მილიარდიან ბიუჯეტში 2 მილიარდს ვახმართ რეგიონებს (რამდენად სამართლიანია ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონებისთვის 2 მილიარდის გამოყოფა ეს სხვა თემა), მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ჩვენ იმ 2 მილიარდის დახარჯვასაც არ ვუკითხვით ადამიანებს, რომლისთვისაც რეალურად ეს თანხები გამოიყოფა. ახლა თანხები მათ სახელზე იხარჯება, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული, რომ რაშიც ეს თანხები იხარჯება, მათ ინტერესებში სულაც

არ იყოს. ამის ყარგი მაგალითითა, როცა ბევრ სოფელში საქანელები დაამონტაჟეს. სოფლების უმეტესობაში პრობლემა საქანელა ჯი არა, სულ სხვა პრობლემები იყო. ის თანხა, რომელიც თვითმმართველობებზე მაინც იხარჯება, უკეთესი იქნება, თუ მათ ვკითხავთ მაინც, თუ რაში სჯობია თანხების დახარჯვა.

- რაც შეეხება მე-7 ყარის საფრთხეებს...

- ოპონენტები ბევრს საუბრობდნენ, რომ გუბერნატორი ძალიან პოლიტიზებული ფიგურაა, ცენტრის დაქვემდებარებაშია, ცენტრის ფუნქციებს და თვითმმართველ ორგანოებზე ზეწოლას ახორციელებს, მათ ფინანსურად ზღუდავს, რაც სიმართლეს შეესაბამებოდა და ცენტრის გადაწყვეტილება იყო. ფაქტია ისიც, რომ რეგიონებში გუბერნატორი ცენტრის პოლიტიკას ატარებდა. იყო საუბარი, რომ გუბერნატორს უფლებები უნდა შეეზღუდოს ან რეგიონულ დონეზე მას გადაეცეს უფლებები. ერთი და იგივე ადამიანები აცხადებდნენ, რომ გუბერნატორი უნდა იყოს არჩევითი ან საერთოდ არ იყოს. ამგვარი მიდგომის ერთროულად რეალიზება როგორაა შესაძლებელი, პირადად ჩემთვის წარმოუდგენელია. მე-7 ყარში არ არის საუბარი თვითმმართველობის ძირითად პრინციპებზე. მე-7 ყარში საერთოდ არარის საუბარი რეგიონალური მმართველობითი ორგანოს შექმნაზე ძალიან მარტივი მიზეზის გამო. თუ სადღაც ქვეყნის ვერაგი ძალები სხედან და დამლუპველ ყანონს წერენ, ამ შემთხვევაშიც ჯი ორგანული ყანონი ამ პასუხისმგებლობას თავის თავზე ვერ აიღებს, ვინაიდან ეს კონსტიტუციური საკითხია.

კონსტიტუციის მეხლების დაზუსტება და გადასინჯვა იმ ყომისის საქმეა, რომელიც

მაც კონსტიტუციაზე ერთი წლის განმავლობაში უნდა იმსჯელოს და გუბერნატორის ინსტიტუტთან დაკავშირებით შესაბამისი ვარიანტები განიხილოს. სურვილის შემთხვევაშიც ჯი, ორგანული ყანონი ვერანაირად ვერ განსაზღვრავდა ამ საკითხებს.

ახლა არის ვითარება, როცა გუბერნატორს ვერც გაუზრდი უფლებამოსილებას და ვერც შეუმცირებ. გუბერნატორი, რეალურად, კონსტიტუციურად დამტკიცებული ინსტიტუციაა. თუ კონსტიტუცია გადაწყვეტს, რომ გუბერნატორი საერთოდ არ უნდა იყოს, ეს სხვა თემაა. კონსტიტუციის შეცვლა გასაგები მიზეზების გამო გაძნელდა.

მოცემულ ვითარებაში კონსტიტუციით არსებობს გუბერნატორი, რომელსაც მთავრობა ნიშნავს. ახლა საკითხი ასე დგას - რა უფლებები ექნება მთავრობის მიერ დანიშნულ გუბერნატორს? ხომ არ გამოიყენებს იგი უხეშად თავის უფლებამოსილებებს პოლიტიკური მიზნებისათვის.

აღრე გუბერნატორი ახორციელებდა ზედამხეველობას თვითმმართველ ორგანოებზე. გუბერნატორი კოორდინაციას უწევდა თვითმმართველ ორგანოებს. ქალაქებზე ჯი წერია, რომ ისინი საკითხებს ერთმანეთში ათანხმებენ, მაგრამ გუბერნატორისა და თვითმმართველი ორგანოების ურთიერთობა რომ სხვა ფორმატში გადაიზრდებოდა, ამის შესახებ ვიცით და ქვეყანამ ეს უკვე გამოსცადა.

ახალი კოდექსით გუბერნატორი ვერ უქმდება, ვინაიდან კონსტიტუციით არსებობს. პროგრამებზე, რომლებიც რეგიონებში უნდა განხორციელდეს, გუბერნატორმა სულ მცირე კონსულტაცია მაინც უნდა გაიაროს თვითმმართველ ორგანოებთან. სწორედ ამისათვის იქმნება ახალი კო-

დექსით გუბერნატორთან საკონსულტაციო ორგანო.

მე-7 ყარი მაშინ იქნებოდა საფრთხე, თუ კოდექსში იქნებოდა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ რეგიონი არის ფედერალური სუბიექტი, აქვს დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც ისევე როგორც პარლამენტს, აქვს ყანონმემოქმედებითი საქმიანობის უფლება, რომ საქმე გვაქვს ფედერალიზმთან და ამავე დროს ადგილზე არ არსებობს სახელმწიფო კონტროლის არანაირი მექანიზმი.

ამგვარი რამ რომ კოდექსში იყოს ჩანერილი, გასაგებია, ეს მართლაც იქნებოდა ბუნებრივად საფრთხე, მაგრამ ასეთი რამ კოდექსში ხომ არ წერია, რომც წარმოვიდგინოთ, რომ ყანონპროექტის ავტორები არიან ქვეყნის მოღალატეები და ამგვარი რამის ჩანერა უნდათ, ამას ისინი მაინც ვერ ჩანერდნენ, ვინაიდან შესაბამისი ჩანაწერი კონსტიტუციაში უნდა არსებობდეს.

- თქვენი ოპონენტები აცხადებენ, რომ "პატრიარქი ევროპულ არჩევანს ჯი არა, ქვეყნის დამლის რუსულ დაკვეთას ეწინააღმდეგება", "რეგიონალიზმი საქართველოსთვის უდიდესი ბოროტებაა". რამდენად აქვს ყავშირი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" პროექტს რეგიონალიზმთან და ქვეყნის დამლის რუსულ გეგმასთან?

- მოდით ვთქვათ, თუ რა იგულისხმება რეგიონალიზმში? როცა ვსაუბრობთ რეგიონალიზმზე, ნაწილისათვის ეს არის ქვეყნის პროვინციებისა და რეგიონების დონეზე გაერთიანება, ანუ გარკვეულწილად კონფედერაციული სისტემა. მეორე ჯგუფისთვის ეს არის ფედერალური მოწყობა, როცა არსებობს ერთიანი სახელმწიფო, მაგრამ რეგიონებს, როგორც ეს აშშ-სა და გერმანიაშია, აქვთ საყანონ-

მდებლო უფლებები. მესამე გახლავთ რეგიონალიზირებული სახელმწიფო, როგორცაა მაგალითად პოლონეთი, ესპანეთი. რეგიონები ჯანონს ვერ მიიღებენ. ჩვენთან ერთადერთი ფედერალური სუბიექტი არის აჭარის ავტონომია, რომელსაც ჰყავს თავისი მთავრობა და საჯანონმდებლო ორგანო - უმაღლესი საბჭო. ჩვენთან არც ერთ მხარეში არასოდეს არ იყო და არც იგეგმება რეგიონის დონეზე საჯანონმდებლო ორგანოს შექმნა.

- ეს გასაგებია, მაგრამ თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს ბრალდებები, თითქოს კოდექსის ავტორებს ქვეყნის დამლა სურთ?

- ნამდვილად არ ვიცი, საიდან მოდის ამგვარი ბრალდება. ერთადერთი, რაც შემიძლია განვაცხადო - ქვეყნის დამლის საფრთხე მაშინ არსებობს, როცა მსხვილი ტერიტორიული ერთეულები ყალიბდება, როცა ამგვარ ერთეულებში ბატონობს კლანური ნომენკლატურა, რომლის ჩამოყალიბება გასული საუკუნის 30 წლებიდან მიმდინარეობდა და შემდგომ თავის პოზიციებს თაობებს გადასცემდა.

საქართველოში ხელისუფლებები კი იცვლებიან, მაგრამ რეგიონებში კლანური სისტემა უცვლელი რჩება. კლანისთვის მთავარია საკუთარი კეთილდღეობა და ვინც მათ მათივე ინტერესების გათვალისწინებას დაპირდება, ყოველთვის მათ მხარეზე არიან. ფეოდალური მენტალობის დაჯგუფებებს არ უნდათ, გარედან რაიმეში ხელი შეუშალონ. ქვეყნის ნებისმიერი არაკეთილისმსურველი სწორედ მათ უყრდნობა. ამის ყარგი მაგალითი იყო ასლან აბაშიძის დროინდელი აჭარა. აქ ეთნიკური მომენტი გამორიცხული იყო, მაგრამ გვახსოვს ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც საქართველოს ცენტრ-

ლურ ხელისუფლებას არც ცნობდა, არც ემორჩილებოდა და პრაქტიკულად საზღვრის მსგავსი რამაც კი არსებობდა. ადგილობრივი თვითმმართველობები იმ ზომით და ფორმით უნდა იყვნენ ჩართული პროცესში, რომ მათ შეეძლოთ კონკრეტული საქმის კეთება, ანუ ის, რაც მათ კოდექსის მიღების შემთხვევაში დაეკისრებათ.

- შეიძლება გვქონდეს იმის იმედი, რომ დისკუსია, რომელიც ამ თემაზე საზოგადოებაში დაიწყო, საბოლოოდ კიდევ უფრო დახვეწს და გააქეთიშობილებს ჯანონპროექტს "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"?

- მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ აქ არ არის საუბარი ჯანონპროექტზე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ - რაც ამ კოდექსთან დაკავშირებით ხდება, სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური ბრძოლა. თუ ჯარგად დააკვირდებით, პროექტზე აღარავინ დავობს, ოპონენტები ამ პროექტის ჩაგდებაზე არიან ორიენტირებული. ეს კი, პირდაპირ ურტყამს რეგიონული მართვის სამინისტროს მესვეურს, რომელიც მმართველმა პარტიამ თბილისის მერობის კანდიდატად დაასახელა. ვინც ნარმანიას თბილისის მერობისთვის ბრძოლაში კონკურენტად განიხილავს, დაინტერესებულია, რომ მის უწყებაში შემუშავებული თვითმმართველობის პროექტი ჩავარდეს.

არის მეორე ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია მართვის ვერტიკალის შენარჩუნებით. შესაბამისად, ისინიც მოწინააღმდეგეთა ბანაკში არიან. არის მესამე ჯგუფი ადამიანების, რომლებსაც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ და ასევე პროექტის მოწინააღმდეგეთა შორის არიან.

ყველა ძალა გააქტიურებულია და ცდილობს, ხელისუფლებას თავისი კლანები აჩვენოს,

არ დაუშვან ამ ჯანონპროექტის მიღება. პროექტის ოპონენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას ჯანონპროექტი საერთოდ არ აინტერესებს. ამ სტრატეგიის არსებობის შესახებ 2013 წლის მარტიდან ყველამ იცოდა, პარლამენტში მათში შევიდა, შემდეგ ისევ იქნა გამოთხოვილი.

მასზე სამუშაო ჯგუფები ღია რეჟიმში მუშაობდნენ. ახლა პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ კოდექსის წინააღმდეგ ღიად გალაშქრება მას შემდეგ დაიწყო, რაც "ქართულმა ოცნებამ" თბილისის მერობის კანდიდატად ნარმანიას დაასახელა. სამწუხაროა, რომ კოდექსის გარშემო დეზინფორმაციის გავრცელებაში ჩათრეული აღმოჩნდა ისეთი პატივსაცემი ინსტიტუცია, როგორცაა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. იმ დეზინფორმაციული ტალღის პირობებში, რასთანაც ახლა გვაქვს საქმე, კიდევ არა ერთი ინსტიტუცია, თუ მოქალაქე გამოთქვამს თავის შემფოთებას.

იმედი მაქვს, რომ ევროპის საბჭო, რომელსაც კოდექსი პარლამენტმა დიდი ხნის წინ გაუგზავნა, მთავრობას კოდექსთან დაკავშირებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს 15 დეკემბრის შემდეგ გამოუგზავნის. ასევე ველოდებით რეკომენდაციებს ვენეციის კომისიისაგან. მათ გაითვალისწინეს საქართველოს ხელისუფლების თხოვნა და დაჩქარებული წესით განიხილეს ჩვენს პარლამენტში შემუშავებული კოდექსი. ცილისწამებაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში რეფორმა რომაა ჩასატარებელი, ფაქტია.

კობა ბენდელიანი

"ინტერპრესნიუსი"

პიოტრ ჟუბა: თვითმმართველობის ამ რეფორმას რეალური ცვლილებების მოტანა შეუძლია

საქართველოს მთავრობამ 21 თებერვალს დაამტკიცა კონცეფცია, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემასთან დაკავშირებით მთელ რიგ რეფორმებს ითვალისწინებს. დოკუმენტი მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებებით აღჭურვას და გადწვევითების მიღების პროცესში ადგილობრივის მოსახლეობის მეტ ჩართულობას. კანონპროექტი, რომელიც რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა, პარლამენტის მიერ დამტკიცების შემთხვევაში, 2014 წლის გაზაფხულზე ადგილობრივ არჩევნებთან ერთად შევა ძალაში. თვითმმართველობის კონცეფციის შემუშავებაში სამინისტროს კონსულტაციებს უწევდა პოლონეთის რეგიონალური განვითარების სამინისტროს, სტრუქტურული კოორდინაციის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პიოტრ ჟუბა, რომელმაც ჩვენთან აღნიშნული რეფორმაზე ისაუბრა.

- თქვენი აზრით რა მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება თვითმმართველობის ახალ კოდექსით და რა სარგებელს მოუტანს ის საქართველოს მოსახლეობას.

- პირველ რიგში მე დავინწყებდი საუბარს იმით, რომ საქართველოში მართლაც არის დეცენტრალიზაციის რეფორმის საჭიროება. ქვეყანაში ბევრი საკითხია რისი მოგვარებაც დეცენტრალიზაციას შეუძლია, ვინაიდან იგი იძლევა საშუალებას უკეთესად მოემსახურო მოქალაქეებს. როცა ჩვენ ვსაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე, აქ იგულისხმება ფისკალური



დეცენტრალიზაცია, უფლებამოსილების გადაცემა ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივზე და ა.შ. ასევე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება. რაც შეეხება იმ პროექტს, რომელიც მთავრობამ უკვე მიიღო, შემოძლია ვთქვა, რომ მასში ბევრია ისეთი საკითხები რაც ჯდება დეცენტრალიზაციის კონცეფციაში, მაგრამ სხვა ქვეყნებთან შედარებით იგი საკმაოდ მოყრდნობულია. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ეს არის ჯარგი ნაბიჯი და პროცესი სწორი მიმართულებით მიდის, თუმცა კვლავაც ბევრია გასაყეთებელი, ვინაიდან კანონპროექტი რომელსაც ამჟამად პარლამენტი იხილავს, იძლევა მხოლოდ ჩარჩოს და დეცენტრალიზაციის რეფორმის დეტალებზე კვლავაც საჭიროა მუშაობა.

- როგორ შეაფასებდით თვითმმართველობის კოდექსის პროექტს, მისი რომელიმე დებულება წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის ევროპ-

ულ ქარტიასთან, კონკრეტულად მუნიციპალიტეტების რეგიონული გაერთიანება.

- მე არ ვფიქრობ რომ ეს ეწინააღმდეგება ევროპულ ქარტიაში არებულ პრინციპებს, ვინაიდან იგი ითვალისწინებს ბევრ განსხვავებულ პრაქტიკას, მაგრამ მთავარი ისაა თუ რამდენად იმუშავებს იგი რეალობაში. უფლებამოსილების ბალანსი ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ თვითმმართველობების რეგიონულ ასოციაციებს შორის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა ეს ჯერაც არ არის განსაზღვრული თუ რა უფლებები და მოვალეობები ექნება რეგიონულ ასოციაციებს, რამდენ დაფინანსებას მიიღებენ და რა იქნება მათი პირდაპირი უფლებამოსილებები. რატომაც და კანონში არის გარკვეული საკითხები განვრდილი, თუმცა მე ვფიქრობ რომ მომავალ წელს ჯერ კიდევ ბევრი რამ არის ამ კუთხით გასაყეთებელი.



- არის მოსაზრება, რომ რეფორმით დაგეგმილი სუბსიდირების პრინციპის განხორციელება, ქვეყანას ძალიან ძვირი დაუჯდება. თქვენი აზრით ამ მოტივით, იმ ქვეყანამ სადაც ადგილობრივი დემოკრატიის ტრადიციები სუსტია, უარი უნდა თქვას თუ არა მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციაზე, ანუ მოსახლეობასთან სიახლოვეზე.

- დღეს ეს თემა მწვავე პოლიტიკური საკითხია, მაგრამ ერთის მხრივ მე ვფიქრობ, რომ ეს სიმწვავე გამოიწვია იმან, რომ იგი რაღაც ეტაპზე არასწორად იყო წარმოდგენილი. დისკუსიები თავიდანვე რეფორმის ადმინისტრაციულ და ფინანსურ მხარეზე იყო კონცენტრირებული, თუ რა დაჯდება გადასახადების შენობების აშენება და ა.შ; რაც არასწორი იყო. როდესაც რეფორმა ამუშავდება მას დაჭირდება გარკვეული გარდამავალი თანხები და ბუნებრივია რომ ფულის გარეშე ეს ვერ მოხდება, თუმცა უფრო მეტი ყურადღება დისკუსიების დროს იმაზე უნდა გამახვილებულიყო თუ რამხელა ფინანსურ და-

ნაზოგს მოიტანს ეს რეფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით. მაგალითად ის საქმიანობა რაც ფულად სახსრებს მოითხოვს ისედაც ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ და დეცენტრალიზაციის შემდეგ ეს უფლებამოსილებები ადგილობრივ დონეზე გადანაწილდება, რაც არ მოითხოვს დამატებითი თანამშრომლების დაქირავებას. პოლონური გამოცდილება გვიჩვენებს რომ სამომავლოდ ახალი თანამშრომლების დაქირავებასთან, ან გადამხადებასთან დაკავშირებული ხარჯები ძალიან მცირე მოცულობისაა. მარტივად რომ ვთქვა რაიმეს ორგანიზება ადგილობრივ დონეზე გაცილებით მარტივი და ნაკლებად ხარჯიანია ვიდრე ამის ნაციონალურ დონეზე შემუშავება. თუმცა არის რაღაც მიმართულებები რაც მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების დონეზე უნდა წყდებოდეს და ამაზე კვლავაც საჭიროა მსჯელობა. საქართველოში არსებული მდგომარეობით სხვადასხვა სერვისების და საქონლის მიწოდების ორგანიზება ძირითადად ხდება ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, რაც

ძალიან არამდგრადია. ევროპული გამოცდილება აჩვენებს, რომ ეს გაცილებით ხარჯიანია ვიდრე დეცენტრალიზაცია, თუმცა ამისთვის საჭიროა მტკიცებულებები, რათა დარწმუნდნენ მოქალაქეები და პოლიტიკოსები, რომ დეცენტრალიზაცია ეკონომიკური კუთხითაც სასარგებლო იქნება.

- საზოგადოების ნაწილში, არის უარყოფითი დამოკიდებულება რეგიონების ინსტიტუციონალიზაციის მიმართ. ფიქრობენ რომ ეს ახალ ბიუროკრატიულ საფეხურს გააჩენს, ხელს შეუწყობს კორუფციას, მართვის გაუარესებას და შეასუსტებს ცენტრალურ ხელისუფლებას. პოლონეთის, (დაახლოებით რომლის მსგავს სისტემასაც გვთავაზობს ახალი კოდექსი) და სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რამდენად რეალურია ეს მოსაზრება, თუ პირიქით.

- ვფიქრობ, რომ საქართველოში უნიკალური ვითარებაა ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, თუმცა ის არც ისე გამორჩეულია ყოფილ საბჭოთა ქვეყნებისგან. პრობლემა კარ-

გი არგუმენტების ჰოვანამია, რათა ხალხმა დაინახოს რომ არის საჭიროება დეცენტრალიზაციის რეფორმის, დაარწმუნო მოქალაქეები, რომ მათ მეტი ზეგავლენა ექნებათ ადგილობრივ დონეზე მიმდინარე მოვლენებზე. ვინაიდან თქვენ იყავით ნაწილი საბჭოთა ეკონომიკის სადაც ყველაფერი ცენტრალიზებული იყო, ამიტომ ალბათ ძნელი იქნება უთხრა ადამიანებს, რომ საკუთარი მომავალი თავად უნდა მართონ, მაგრამ ეს საჭიროა. პოლონეთში რეფორმის დასაწყისში არც ისე მკაფიო იყო სურათი, თუმცა საჭირო იყო ცვლილება ადამიანების განწყობაში, ამას კი დრო ჭირდება და არა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების შექმნა. თუკი რეფორმა იქნება წარმატებული ადამიანები მეტად იბრუნებენ ადგილობრივ გარემოზე. მოსახლეობას შეუძლია გამოთქვას საკუთარი მოთხოვნები და თუკი ეს მოთხოვნები დაუბრუნებულად იქნება დაკმაყოფილებული, მათ გაუჩნდებათ მეტი ნდობა ადგილობრივი ადმინისტრაციის და ხელისუფლების. ეს აუცილებლად მოხდება, თუმცა ამას დრო სჭირდება. პოლონეთში 5-8 წელი დაგვჭირდა რათა ხალხს ერწმუნა საკუთარი ადგილობრივი ხელისუფლების. შეიძლება არის ერთი განსხვავება, პოლონეთში ხალხი არ ენდობოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და ეს მათთვის იყო ახალი შესაძლებლობა, აქ კი ჩანს რომ ვითარება ცოტა განსხვავებულია. შეიძლება ნდობა არც ისე მაღალია, მაგრამ ხალხმა არ იცის თუ რას ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობა და ვერ იგებს მას. ჩემი რჩევა იქნებოდა რომ უბრალოდ მივყვეთ ამ რეფორმას და ნახავს ხალხი რომ მას შეუძლია რეალური ცვლილებების მოტანა.

- თქვენი კვლევების თანახმად, საშუალოდ რამდენია

მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის ის ოპტიმალური რაოდენობა, როდესაც შესაძლებელია ადგილობრივ დემოკრატიასა და სერვისების მიწოდების ეფექტიანობას შორის "ოქროს შუალედის" მიღწევა. საქართველოს რას ურჩევდით ამ კუთხით?

- გადამწყვეტი საკითხი არის თუ როგორ მოხდება ძალაუფლების გადანაწილება. თუ ყოველივე ეს ზედინვენიტ ზუსტად არ იქნება განერილი ძნელი იქნება დაანახო მოსახლეობას განსხვავება. მე ვერაფერს ვიცი თუ რამდენად კმაყოფილებს ამჟამინდელი მოსახლეობას სახელმწიფო მომსახურება ადგილობრივ დონეზე, თუმცა მაქვს კვლევა, რომელზე დაყრდნობითაც შემოძლია გითხრა, რომ მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცოდა, რომ რიგი უფლებამოსილებების უკვე არა ცენტრალური, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაშია. შეიძლება ეს იმით აიხსნება, რომ მათ არ აინტერესებთ ვინ მოემსახურებათ მათ ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება, მაგრამ მთავარი საკითხი არა ადმინისტრაციული საზღვრების გავლება, არამედ ადამიანებისთვის მომსახურების უკეთ მიწოდებაა. ევროპაში ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივი მმართველობა სერვისების გაცილებით უკეთესი მიმწოდებელია ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება. რატომ უნდა არიან განსხვავებული ქვეყნები, განსხვავებული ტრადიციებითა და ტერიტორიული მოწყობით, თუმცა მე ვფიქრობ რომ ევროპაში არცერთი ქვეყანა არ არის ისე ცენტრალიზებული როგორც საქართველო.

- ოპოზიციური პარტიების ნაწილი აცხადებს, რომ მთავრობამ კოდექსი მათთან შეთანხმებულად შეიმუშავა და განხილვის შეჩერებას ითხოვს. როგორ ფიქრობთ რამდენად ტრანსპარანტულად მიმდინარეობდა პროცესი და უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მათი მოთხოვნები.

ოვს. როგორ ფიქრობთ რამდენად ტრანსპარანტულად მიმდინარეობდა პროცესი და უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მათი მოთხოვნები.

- ვფიქრობ, რომ მაქსიმალურად რამდენადაც შესაძლებელია იგი უნდა ამუშავდეს ახლა, რადგან პოლიტიკური დებატები გაგრძელდება ძალიან დიდხანს და შემდგომში მისი დანერგვა ძნელი იქნება, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი პირადი შეხედულებაა. მესმის თუ რატომ ხდება ასე, ძნელია ყველა დაითანხმოს, განსაკუთრებით სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტირების, თუმცა მე ცოტა არ იყოს იმედგაცრუებული ვარ, რომ ძირითადი მსჯელობა მიდის ისეთ საკითხებზე რაც უნდა განისაზღვროს მომავალში. არსებობს ძალიან ბევრი დეტალი, რაც უნდა გადაწყდეს მოგვიანებით არჩევნების შემდეგაც კი, მაგალითად ფისკალური დეცენტრალიზაცია უნდა განისაზღვროს 2014 წლის სექტემბრისთვის და ა.შ. მოდით დავინიშოთ იმ კონცეფციით, რომელიც ამჟამად არის. განვიხილოთ იგი როგორც ერთგვარი გარდამავალი პერიოდი, რათა გამოიცადოს ის საკითხები რაც კანონში არის განერილი. თუმცა ამავე დროს უნდა გაგრძელდეს ინტენსიური მუშაობა იმ დეტალებზე, რომლებიც ჯერ-ჯერობით კანონში არ წერია, რათა თავიდან ავიცილოთ იმის საფრთხე, რომ რომელიმე სახელმწიფო უწყებებმა არჩევნების შემდეგ თქვან, მოდით საქმარისა ის რაც გვაქვს და მეტის გაკეთება აღარ არის საჭირო - ეს არის საფრთხე, რადგან შესაძლოა შექმნათ, სიტყვაზე, 14 მუნიციპალიტეტი და შემდეგ ისი დარჩენენ გაურკვეველი უფლებამოსილებებით, გაურკვეველი ფინანსური სისტემით და ა.შ. მთავარია ვიყოთ დარწმუნებულები, რომ დეცენტრალიზაციის მთელი პროცესი იქნება

გამჭირვალე, ორგანიზებული, ხოლო მისი დანერგვა უკვე შემდეგი ნაბიჯია.

- რას ურჩევდით საქართველოს ხელისუფლებას რეფორმის უკეთესად განხორციელებისათვის?

- მე, როგორც მრჩეველი, აქტიურად ვმუშაობ უშუალოდ მინისტრის მოადგილესთან, ბატონ თენგიზ შერგელაშვილთან ერთად. ვფიქრობ საკმაოდ უარგად ვთანამშრომლობთ და მე ვაქეთებ ყველაფერს რაც შემიძლია. რადგან მე ჩამოვედი სხვა ქვეყნიდან, შეიძლება ცოტათი განსხვავებული შეხედულებები მაქვს, თუმცა ვცდილობ მეტი ყურადღება გავამახვილო იმ ასპექტებზე, რომელიც მომგებიანი იქნება რეფორმის უკეთ წარმოსაჩენად. ახლა მთავარია მთავრობამ უფრო აქტიურად იმუშაოს იმისთვის, რომ ხალხს რეალური ფაქტები დაანახოს. მათ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ დრო, რომ 2014 წლისათვის ნათელი და დახვეწილი რეფორმა მივიღოთ.

არასაპარლამენტო ოპოზიცია ადგილობრივი თვითმმართველობის რე- ფორმის განხილვაში ჩართვას ითხოვს

20 ნოემბერს არასაპარლამენტო ოპოზიციამ ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად თვითმმართველობის რეფორმა განიხილა. შეხვედრა სასტუმრო რედისონში გაიმართა და მას არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიის

13 წარმომადგენელი და არასამთავრობო სექტორი ესწრებოდა. არასაპარლამენტო ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა თვითმმართველობის რეფორმის განხილვაში არასამთავრობო სექტორთან ერთად მათი ჩართვაც იყო. არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ თვითმმართველობის



რეფორმის ჩამოყალიბებაზე მხოლოდ პრემიერმინისტრის და მისი აპარატის წევრები მონაწილეობდნენ და ერთადერთი პოლიტიკური გუნდი, რომელიც პროცეში იქნა ჩართული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რაც მიუღებელია, რადგან მსგავსი მნიშვნელობის საკითხებში საჭიროა როგორც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ისე სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ჩართულობა. ქრისტიან-დემოკრატიების ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ახვლედიანის განცხადებით, საჭიროა შეიქმნას სპეციალური ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელშიც არასამთავრობო და საერ-

თაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან.

"მთავარი პრობლემა, რომელიც დგას ამ შემთხვევაში არის ის, რომ არ უნდა მოხდეს "ნაციონალური მოძრაობის" და "ქართული ოცნების" მიერ კაბინეტებში ამ საკითხის ისე გადწვევა, რომ ამ პროცესში არ იყოს ჩართული ქართული პოლიტიკური ძალების ფართო სპექტრი. რეფორმას, რომელიც რეგიონალურ თვითმმართველობას უკავშირდება ძალიან დიდი კონსესუსი სჭირდება. ბევრი დრო დაუკარგეთ იმისთვის, რომ ეს პროცესი დაწყებულიყო. რაც შეიძლება მალე უნდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც ინტერპარტიული იქნება და რომელშიც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან", - განაცხადა ახვლედიანმა.

არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრების თქმით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ვადებია, რადგან მსგავსი რეფორმები საკონსტიტუციო ცვლილებებსაც მოითხოვს, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, ამასთან ახალი კანონპროექტი ვენეციის კომისიამაც უნდა განიხილოს. მიუხედავად ამისა პარტიების წარმომადგენლები თანხმდებიან იმაზე, რომ თვითმმართველობის არჩევნები დადგენილ ვადებში, მაისის თვეში უნდა ჩატარდეს.

"ქართული დასის" ლიდერი, ჯონდი ბალათუ-



რია პარლამენტში ყოველგვარი განხილვების დაუყოვნებლივ შეჩერებას მოითხოვს. მისი შეფასებით, ამ ეტაპზე მთავარია მთავრობის დიალოგზე წამოყვანა, რადგან მათ აირჩიეს საქმაოდ ცუდი პოზიცია არ აღიარონ ოპოზიციას. ბალათურისას აზრით, ის კონცეფცია, რომელიც პარლამენტმა 19 თებერვალს წარმოადგინა დახვეწას საჭიროებს რის შემდეგაც შესაძლებელია მივიღოთ საქმაოდ კარგი ხარისხის პროდუქტი, თუმცა ამას ფართო სპექტრის ჩართულობა და მაღალი კონსესუსი ჭირდება.

"არის კანონპროექტში საკითხები, რომელიც, ჩემი აზრით, თეორიულად შეიძლება ვინმეს მოსწონდეს, მაგრამ პრაქტიკაში ვერ იმუშაოს. ჩვენ 120 მუნიციპალიტეტამდე ვერ ავალთ, რადგან ამის ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება არ გვაქვს. ჩვენ ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ თვითმმართველობის არჩევნები მათში უნდა ჩატარდეს, თუმცა მანამდე უნდა მოხდეს რეფორმის საჯარო დონეზე განხილვა - განაცხადა ბალათურამ.

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი"-ის ხელმძღვანელი, კონსტანტინე კანდელაკი არ ეთანხმება არასაპარლამენტო ოპოზიციის მოსაზრებას და თვლის, რომ თვითმმართველობის კოდექსის შემუშავების პროცესი საქმაოდ ტრანსპარანტულად მიმდინარეობდა. რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციის ჩართულობას, კანდელაკის განცხადებით იყო კოორდინაციის პრობლემა, რადგან კოდექსი თითქმის ერთი წლის განმავლობაში საჯარო განხილვების საგანს წარმოადგენდა და ნებისმიერ მსურველს შეეძლო მასში მონაწილეობის მიღება.

"თვითმმართველობის ახალ კოდექსთან და-

კავშირებით ინფორმირებულობის დონე იყო საქმაოდ მაღალი. გაზაფხულზე შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელშიც ოცზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია მონაწილეობდა. ასევე შეიქმნა სამუშაო თემატური ჯგუფები, რომელიც ექსპერტებისგან იყო დაკომპლექტებული. შეხვედრები ტარდებოდა რეგიონებში და ნებისმიერ მსურველს შეეძლო განხილვებში მონაწილეობის მიღება. რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას, მათ ოფიციალურად არ გამოუთქვამთ თანამონაწილეობის სურვილი. ამ ეტაპზე ჩვენ მზად ვართ მივიღოთ მათი რეკომენდაციები, თუმცა არ ვეთანხმებით, მათ მოსაზრებას, რომ განხილვები უნდა შეჩერდეს, რადგან კანონპროექტი არ საჭიროებს რაიმე სახის კონსტიტუციურ ცვლილებებს. კანონპროექტის განხილვის შეჩერება და სამომავლოდ გადადება ნიშნავს, რომ 2014 წლის არჩევნებისათვის ჩვენ შევინარჩუნებთ დღეს არსებულ თვითმმართველობის სისტემას, და რეფორმის განხორციელება გადაიდება გაურკვეველი ვადით. რაც ცენტრალიზებული მართველობის შენარჩუნებას გულისხმობს.

30 ნოემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის განხილვა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ხმაურისა და დაპირისპირების ფონზე წარიმართა. შეხვედრაზე, სადაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები თვითმმართველობის კოდექსის შესახებ მსჯელობდნენ, არასაპარლამენტო პარტიები საკითხის განხილვის გაგრძელებას ინტერპარტიულ ფორმატში ითხოვენ. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილმა განაცხადა, ხელისუფლების მხრიდან მზადყოფნა იყო, რომ კანონპროექტის თითოეულ მუხლზე მსჯელობა მომხდარიყო, თუმცა, სამწუხაროდ, პოლიტიკურმა პარტიებმა მსჯელობა წარმართეს მხოლოდ ფორმატზე



და მათ კანონპროექტთან დაკავშირებით არც ერთი შენიშვნა არ წარმოუდგენიათ.

მთავრობის კანცელარიის რეგიონებისა და თვითმმართველობის დეპარტამენტებთან ერთ-ერთობის ხელმძღვანელის, ირაკლი მელაშვილის შეფასებით, პოლიტიკური პარტიები უნ-

ყებაში თვითმმართველობის კანონპროექტზე სასაუბროდ მისულები არ იყვნენ. მისი თქმით, პარტიებმა კანონპროექტის პრეზენტაციაზე თავიანთი შენიშვნების წარმოდგენაზე უარი განაცხადეს და მოლაპარაკებების მრავალპარტიულ ფორმატში გაგრძელების საკითხი დააყენეს.

"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერის მამუკა ჯაციტაძის განცხადებით, შეხვედრაზე დაპირისპირება გამოიწვია იმან, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს სურდათ კოდექსთან დაკავშირებით არსებითი განხილვა არ გაგრძელებულიყო. მისივე ინფორმაციით, 8 დეკემბერს ჩაინიშნა სამუშაო შეხვედრა, სადაც კომიტეტმა პოლიტიკურ პარტიებთან უნდა განხილოს კონკრეტული მომენტები,



ჯახა ჟუჯავა, ბაჩუკი ქარდავა და ნოდარ ნათაძე.

თუმცა, ეს არ არის ინტერპარტიული ფორმატი. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ თუკი ინტერპარტიული განხილვები არ შედგება, აღნიშნულ რეფორმას "ქართული ოცნების" რეფორმა დაერქმევა და ის ვერ იქნება ფართო პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კონსენსუსის პროდუქტი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის განხილვა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა. მას არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მათ შორის, გიორგი გუგავა, ჯონდი ბულათურია, ლევან ვეფხვაძე, გია კობახიძე,

არასაპარლამენტო (დამოუკიდებელი) ოპოზიციის შენიშვნები "თვითმმართველობის კოდექსის" პროექტზე

განხილვის ფორმატი:

1. პროექტი განხილულ იქნეს ინტერპარტიული ჯგუფის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციის შუამავლობით. მანამდე საპარლამენტო განხილვა შეჩერდეს;
2. პროექტი განხილულ იქნეს რეფორმის მთლიან კონცეფციასთან ერთად: რა ვადებში იქნება მიღებული თვითმმართველობის და საარჩევნო კოდექსები, რა ვადებში მოხდება მუნიციპალიტეტების ახალი საზღვრების ფორმირება და რა ვადებში ჩატარდება არჩევნები;
3. პროექტი საერთაშორისო ექსპერტიზისთვის გაეგზავნოს ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიას;

რეგიონული დონე:

4. რეგიონულ დონეზე არ უნდა შეიქმნას არჩევითი ორგანოები; არც წარმომადგენლობითი და არც აღმასრულებელი;
5. ნებისმიერი ცვლილება ქვეყნის ტერიტორიული მონყობაში უნდა აისახოს კონსტიტუციაში;

მუნიციპალური დონე:

6. მუნიციპალიტეტების საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრები დგინდება კანონით;
7. ახალი თვითმმართველი ქალაქების შექმნა ხდება ახალი (რაიონული) მუნიციპალიტეტების შექმნასთან ერთად;

მუნიციპალიტეტების ეტაპობრივი დაყოფის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესები, აგრეთვე სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესი, რომ არსებითად არ გაიზარდოს სახელმწიფოს ბი-

უროკრატული ხარჯები, და მოსახლეობის ინტერესი, რომ არ გაუძნელდეს ახალ ადმინისტრაციულ ცენტრებთან კომუნიკაცია;

8. მუნიციპალიტეტის სამსახურების და ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებს, სსიპ და აიპ ხელმძღვანელებს ნიშნავს მერი (გამგებელი) საკრებულოს თანხმობით;

9. შენარჩუნებულ იქნას ფრაქციის და ფრაქციის თავმჯდომარის არსებული სტატუსი;

10. კომისიების რაოდენობა განისაზღვრება:
• თბილისის საკრებულოში: არაუმეტეს - 9;
• თვითმმართველი ქალაქების საკრებულოში: არაუმეტეს - 7;
• სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოში: არაუმეტეს - 5;

11. 2014 წლის მონვევის საკრებულოები აირჩევა საერთო ვადით ანუ 4 წლით;

ე.წ. საზოგადოებრივი თვითმმართველობა:
12. სოფლის მამასახლისი არჩეულ იქნას მოსახლეობის მიერ პირდაპირი კენჭისყრის წესით;

13. თბილისის საუბნო საკრებულოები და სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობები ჩამოყალიბდეს სამოქალაქო კოდექსით დად-

გენილი წესით.

ადგილობრივი ბიუჯეტი:

14. ეტაპობრივად დადგინდეს (აღდგეს) ადგილობრივი ბიუჯეტების საკუთარი შემოსავლის წყაროები სხვადასხვა სახის ცენტრალური გადასახადებიდან წილის სახით.

1. ახალი მემარჯვენეები
2. დემოკრატული მოძრაობა - ერთიანი საქართველო
3. ეროვნულ-დემოკრატული პარტია
4. თავისუფალი საქართველო
5. ევროპული დემოკრატები
6. ტეიბორისტული პარტია
7. ქალთა პარტია
8. ქართული დასი
9. ქრისტიან-დემოკრატული მოძრაობა
10. ქრისტიან-დემოკრატული სახალხო პარტია

თვითმმართველობის შესახებ: პოლიტიკოსების ფიცი მნამს, მაგრამ ბოლო მაპვირკებს...



ბოლო პერიოდში დიდი აჟიოტაჟია ატეხილი მთავრობის მიერ მოწონებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის იმ დებულებაზე, რომელიც რეგიონებში, ხალხის მიერ არჩეული საკრებულოების წევრებისგან, საბჭოების შექმნას ითვალისწინებდა. მმართველმა ძალამ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ გაუძლო, „კომპრომისზე“ წავიდა და განაცხადა: „მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების საბჭოების ნაცვლად სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოები შეიქმნება“, რითაც კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტის მიხედვითაც კი საკმაოდ მცირე უფლებების მქონე წარმომადგენლობითი ორგანო გუბერნატორებს დაუქვემდებარა.

მოდით, ვნახოთ, რომელი პოლიტიკური ძალები აქტიურობენ თვითმმართველობის კოდექსის ამ ასპექტის კრიტიკაში და გამოენ ყოველგვარ „რეგიონალიზაციას“, ასევე ჩავ-

იხედოთ მათ წინასაარჩევნო პროგრამებში.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, გიორგი ახვლედიანი: „იმას, რასაც ხელისუფლება დეცენტრალიზაციას უწოდებს, შეუძლია ქვეყანაში სეპარატიზმის სერიოზული პრობლემები შექმნას... ასეთი ნაბიჯების გადადგმა რეალურად დააყენებს ქვეყანას სეპარატიზმის საფრთხის წინაშე. რეალურად ვიღებთ ხელოვნურ დაყოფას“.

გიორგი თარგამაძე კი, სულ რაღაც თვენახევრის წინ, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროგრამაში, სიტყვასიტყვით იმეორებდა სამთავრობო კონცეფციის დებულებებს: „პირველი ეტაპის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ქვეყნის მომზადება (ტერიტორიების განსაზღვრა, ადმინისტრაციული ცენტრების განსაზღვრა, ინფრასტრუქტურის მომზადება, საბიუჯეტო მოწყობა) თვითმმართველობის მოსახლეობასთან უფრო ახლოს დაყვანა, სულ 250-მდე მუნიციპალიტეტი და ორდონიანი თვითმმართველობის შემოღება. მეორე დონეზე უნდა შეიქმნას ასოცირებული საკრებულოები, რომლის წევრებსაც დააკომპლექტებენ პირველი დონის თვითმმართველობის საკრებულოები.“

კომენტარი: გიორგი ახვლედიანს ახლა უცებ აეხილა ასოცირებული საკრებულოების მიერ სეპარატიზმის რეალურ საფრთხეზე თვალის...

„ახალი მემარჯვენეები“, მამუკა ჯაციტაძე: „ქოალიციაშიც კი არ ყოფილა ეს კონცეფცია განხილული, ეკლესია ამბობს, რომ ეს ხიფათებს მოიცავს, პოლიტიკოსებიც იმავეს ვამბობთ, აბა ვიღასთან იყო განხილული?“

ამ პარტიის თავმჯდომარის, დავით გამყრელიძის საპრეზიდენტო პროგრამა 2007 წელს: „დავამკვიდროთ რეალური თვითმმართველობა, როგორც ისტორიული მხარეების, ისე დღეს არსებული რაიონების დონეზე, რის შედეგადაც გვექნება თვითმმართველობის ორი დონე: I დონე – რაიონი – ირჩევა 2 წლით; II დონე – რეგიონი – ირჩევა 3 წლით“.

თავად პარტიის საარჩევნო პროგრამა 2012 წელს: „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით ჩვენი ძირითადი პრიორიტეტებია: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით - ორდონიანი მმართველობა. თვითმმართველობის ორივე დონე უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირდაპირი საყოველთაო, ფარული წესით ჩატარებული არჩევნებით. პირველი დონე - ისტორიული მხარე. მეორე დონე - მუნიციპალიტეტი (ყოფილი რაიონი)“.

კომენტარი: ალბათ, მამუკა ჯაცი-

ტაძემ არ იცის, რომ მისი პარტიის პროგრამა იგივე ხიფათებს შეიცავს...

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“, ნინო ბურჯანაძე: „ქანონი ჯერ ერთი დაგვიანებულია, მეორე მეორე მოუზადებელია. არ უდება და არ შეესაბამება იმ სტრატეგიას, რომელიც უნდა შექმნილიყო ქვეყანაში რეგიონალიზმის საკითხთან დაკავშირებით... ის მოიცავს სერიოზულ საფრთხეებს უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერსების წინააღმდეგ“.

ნინო ბურჯანაძის 2013 წლის საპრეზიდენტო პროგრამა „პრეზიდენტი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ქმედითი ფუნქციონირების გარანტი და უზრუნველყოფს ცენტრალური ხელისუფლების ჩაურევლობას მათ საქმიანობაში. გაძლიერდება რეგიონული მმართველობა და თვისებრივად გარდაიქმნება გუბერნატორის ინსტიტუტი. რეგიონებს გადაეცემათ სათანადო უფლებამოსილებები და სტაბილური ფინანსური რესურსები, რათა მათ უზრუნველყონ რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მისი შედარებითი უპირატესობების გამოყენებით.“

კომენტარი: თუ რეგიონულ მმართველობას ბურჯანაძე გააძლიერებდა, ეს რეგიონალიზმი და სერიოზული საფრთხე ეროვნული ინტერსების წინააღმდეგ არ იქნებოდა...

„ღებორისტული პარტია“, გიორგი გუგავა: „ქანონპროექტი ითვალისწინებს ქვეყნის რეგიონალიზაციას, რაც წააქეზებს სეპარატისტულ მოძრაობებს საქართველოში. ამან შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის დანაწევრება.“ მალვა ნათელაშვილის წინასაარჩევნო პროგრამა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში: „ჩატარდება პოლიტიკური სისტემის ძირფესვიანი რეფორმა. არჩევითი იქნება მუნიციპალიტეტების, ქალაქების, სამხარეო ადმინისტრაციათა ხელმძღვანელები, მოსამართლეები და მაქსიმალურად მეტი თანამდებობის პირი.“

კომენტარი: გუგავას სიტყვა „რეგიონის“ ეშინია, ხოლო თუ ამას მისი პარტიის ლიდერი „სამხარეო ადმინისტრაციას“ დაარქმევს, - ქარგი რამეა...

„ქართული დასი“, ჯონდი ბატათურია: „თუ ეს ნორმა გავიდა, მივიღებთ სეპარატისტულ საფეოდალოებს.“

„ქართული დასის“ მიზნები, პარტიის წესდებიდან: „დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება და განვითარება სახელმწიფო მმართველობაში, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულების თვითმმართველობა“.

კომენტარი: ბატონოსათვის უკვე „ყველა დონის თვითმმართველობა“ საფუძვლიანად ვერ გახდება იმიტომ, რომ ბატონოსათვის...

აღბათ, გაგრძელება არ ღირს. ჩვენ უკვე მივჩვენეთ, რომ ბევრი პოლიტიკოსის სიტყვიერი თუ წერილობითი დაპირება არაფერს ნიშნავს, საქმით სულ სხვა რამეს აკეთებენ.

თვითმმართველობის აოდქსთან დაახლოებული მოვლენების ქრონიკა

რეგიონული განვითარების სამინისტრომ ექსპერტებს თვითმმართველობის აოდქსი გაცნო 05 ნოემბერი, 2013 წ.

როგორც უწყების ხელმძღვანელმა დავით ნარმანიამ შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, თვითმმართველობების პრობლემა საქართველოში ბოლო 20 წელია, არსებობს. თვითმმართველობები სუსტია და ადგილებზე არსებულ პრობლემებს ვერ აგვარებენ.

მინისტრის თქმით, სწორედ, ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოიგვარება ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა.

"რეფორმის შედეგად მოხდება ქვეყნის მასშტაბით ქალაქებისა და სოფლების სწორი სოციალ-ეკონომიკური განვითარება. ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მეტად დაუახლოვდება საკუთარ მოსახლეობას, რაც გაზრდის მოქალაქეთა ჩართულობის დონეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში", - განაცხადა ნარმანიამ.

შეხვედრა "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართა. მას მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, მთავრობის უწყებების, რეგიონებსა და თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი მელაშვილი, ექსპერტები და თვითმმართველობის რეფორმაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ირაკლი მელაშვილის თქმით, ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული ცვლილებები საზოგადოების და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას თვისობრივად შეცვლის.

"ადგილობრივ მოსახლეობას თავად უნდა ჰქონდეს მექანიზმი გადაწყვეტოს მის სოფელში რა არის გასაკეთებელი. დღეს ყველაფერი ხდება ცენტრში. სოფელში წყალი რომ არის გასაკეთებელი, გადაწყვეტილებას იღებს ცენტრალური ხელისუფლება. ადგილობრივი მოსახლეობა აბსოლუტურად ჩამოშორებულია იმ გადაწყვეტილების მიღებას, რაც უშუალოდ მას ეხება. ცენტრალიზებული სისტემიდან უნდა გადავიდეთ იმაზე, რომ მოქალაქეებს ვენდოთ და მათ მივალდებინოთ გადაწყვეტილებაში მონაწილეობა", - განაცხადა მელაშვილმა.

თვითმმართველობის აოდქსი პირველად გორში განიხილეს 07 ნოემბერი, 2013 წ.

ახალი თვითმმართველობის აოდქსის პროექტის საჯარო განხილვა გორიდან დაიწყო. გორის „დარბაზის“ ინიციატივით, უნივერსიტეტში დაახლოებით 400 კაცი შეიკრიბა. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ აოდქსის პროექტი განსახილველად პირველად გორელებს წარუდგინა. პროექტის ავტორებმა თვითმმართველობის რეფორმის შესახებ ისაუბრეს. გორი ერთ-ერთი ქალაქია, რომელსაც, რეფორმის შედეგად, თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭება, მიეცემა უფლებამოსილებები და ექნება საკუთარი ბიუჯეტი, რომელიც მთლიანად ქალაქის განვითარებას მოხმარდება. მთავრობის უწყებების რეგიონებსა და თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი მელაშვილმა განაცხადა, რომ ეს აოდქსი ქვეყნის რეალური დეცენტრალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია.

ადგილობრივი არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დიდი ხნის განმავლობაში ამაოდ ითხოვდნენ გორისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის დაბრუნებას. ყოველი არჩევნების წინ პოლიტიკოსები პირობას დებდნენ, რომ ამ საკითხს მოაგვარებდნენ, მაგრამ დღემდე ეს ვერავინ შეძლო. ამ მიმართულებით განსაკუთრებით „საზოგადოებრივი დარბაზი“ აქტიურობდა. „დარბაზის“ წარმომადგენელმა თამაზ მაცაშვილმა განაცხადა, რომ დრო გამოაჩენს ამ რეფორმის სიკეთეს, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ მეტი ადამიანი იქნება ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

რუსთავში თვითმმართველობის ყოდექსის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა 11 ნოემბერი, 2013 წ.

რეგიონული განვითარების სამინისტრომ თვითმმართველობის ყოდექსის პროექტი რუსთავლებს გააცნო.

შეხვედრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი, მთავრობის კანცელარიის რეგიონებსა და თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი მელაშვილი, რუსთავის მერი დავით ჯიქია და რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ჯაბა გურგენიძე ესწრებოდნენ.

ირაკლი მელაშვილმა კანონპროექტის ძირითად ასპექტებზე ისაუბრა, თენგიზ შერგელაშვილმა კი კანონპროექტის ვრცელი პრეზენტაცია წარადგინა.

"კანონპროექტი ითვალისწინებს თვითმმართველობასთან დაკავშირებულ მრავალ ასპექტს, მათ შორის თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის გაზრდას, ეტაპობრივად, რამდენიმე ხნის განმავლობაში საერთო ტერიტორიულ ოპტიმიზაციას, ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში მერისა და გამგებლების პირდაპირ არჩევითობას, ითვალისწინებს კომპეტენციების გამიჯვნას, საზოგადოებრივი საბჭოების ფორმირებას, რომელიც უნდა იყოს შუამავალი მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტებს შორის", – განაცხადა თენგიზ შერგელაშვილმა.

რუსთავის მერის დავით ჯიქიას თქმით, ახალი კანონპროექტის ძალაში შესვლის შემდეგ მნიშვნელოვნად იზრდება თვითმმართველობის ფუნქციები, რაც ადგილზე ეფექტურ მართვას წაადგება.

„საკმაოდ უარგი კანონპროექტია. ჩემი აზრით, ძალიან უარგია, რომ ამ კანონის მიხედვით ქალაქის მერი იქნება არჩევითი და ეს ვფიქრობ, რომ აუცილებელიც არის. გარდა ამისა, ხდება თვითმმართველობისათვის უფლებამოსილების გაზრდა, მოხდება ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, რაც თვითმმართველობის ეფექტური ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია", - განაცხადა დავით ჯიქიამ.

თვითმმართველობის ყოდექსის პროექტის განხილვასა და დისკუსიაში მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკური პარტიების, რუსთავის თვითმმართველობისა და მმართველობის, არასამთავრობო სექტორისა და რუსთავის საზოგადოების წარმომადგენლები.

დავით წარმანია ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდა 12 ნოემბერი, 2013 წ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თქმით, მათთვის მნიშვნელოვანია არასამთავრობოებს ადგილობრივ თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით ინფორმაცია დეტალურად მიაწოდონ, რათა მათ მოქალაქეების ინფორმირება უზრუნველყონ. "მნიშვნელოვანია ეს რეფორმა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, რათა ისინი მოსახლეობას უფრო დაუახლოვდნენ. პროექტი ითვალისწინებს, რომ მოსახლეობამ ადგილობრივ თვითმმართველობებს ხმა მარტივად მიაწვდინოს და ადგილზე მოაგვაროს ძირითადი საჭიროებები. ამ რეფორმით ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით ევროპას. ჩვენ დღევანდელ შეხვედრაზე დეტალურად გავაცნობთ არასამთავრობო ორგანიზაციებს და რეგიონული მედიის წარმომადგენლებს."

გენლებს ამ პროექტს, რათა მათ მიაწოდონ მოქალაქეებს ინფორმაცია, საზოგადოება თვითმმართველობის რეფორმისთვის შეამზადონ. მოსახლეობამ უნდა გაიგოს, რა არის ეს რეფორმა, რა შეიცვლება და როგორ გაუმჯობესდება მათი მდგომარეობა", - განაცხადა ნარმანიამ.

პარლამენტის ბიურომ თვითმმართველობის კოდექსი დაარეგისტრირა 12 ნოემბერი, 2013 წ.

საქართველოს პარლამენტის ბიურომ საქართველოს თვითმმართველობის კოდექსის პროექტი 12 ნოემბრის სხდომაზე დაარეგისტრირა.

სამინისტროს განცხადებით, თვითმმართველობის ახალი კოდექსი თვითმმართველობის არსებულ მანკიერ სისტემას ევროპული, საზოგადოებაზე ორიენტირებული თვითმმართველობის სისტემით ცვლის. ყველაფერი ეს ადგილობრივ თვითმმართველობებს მისცემს სწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას; მეტად დაახლოებს ადგილობრივი ხელისუფლებას მოსახლეობასთან, შესაბამისად, გაზრდის მოქალაქეთა ჩართულობის დონეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში;

თვითმმართველობის კოდექსის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივი თვითმმართველობის საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები. საქართველოს მთავრობამ თვითმმართველობის კოდექსი ოქტომბრის ბოლოს დაამტკიცა.

რატომ დარჩა ჭიათურა თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გარეშე? 12 ნოემბერი, 2013 წ.

ჭიათურაში დაანონსებული აქცია, ქალაქის თვითმმართველი სტატუსის მოთხოვნით, არ მოეწყო. თვითმმართველობის ახალი კოდექსით, ჭიათურას, მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, თვითმმართველი ქალაქის სტატუსი არ ეკუთვნის. კოდექსის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის სტატუსისთვის 15000 მაცხოვრებელია საჭირო. ბოლო აღწერის მიხედვით კი ჭიათურაში უფრო ნაკლები მცხოვრებელია.

სავარაუდოდ, ორგანიზატორების სისუსტის გარდა, აქცია ჩაშალა მაკორიტარი დეპუტატის დაპირებამ, რომ თვითმმართველობის შესახებ კანონში შევა სპეციალური მუხლი, რომელიც გაითვალისწინებს იმ ქალაქების შესახებ გამონაკლისის დაშვებას, როგორცაა ჭიათურა, ზესტაფონი და ბორჯომი.

ცნობისათვის: ჭიათურას ქალაქის სტატუსი 1921 წლიდან აქვს.

ზუგდიდისთვის ქალაქის სტატუსის მინიჭებაზე იმსჯელეს 13 ნოემბერი, 2013 წ.

განხილვას ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი და მთავრობის უწყველარიის თვითმმართველობებთან დარეგისტრირებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი მელაშვილი დაეწინა.

ზუგდიდი ის ერთ-ერთი ქალაქია, რომელსაც რეფორმის შემდეგ თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭება, მიეცემა უფლებამოსილებები, ექნება საკუთარი ბიუჯეტი და ეყოლება მერი.

რეგიონული განვითარების სამინისტრომ ოზურგეთლებს თვითმმართველობის კოდექსი წარუდგინა 14 ნოემბერი, 2013 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ოზურგეთლებს თვითმმართველობის კოდექსი წარუდგინა და დაგეგმილი სიახლეები მათთან ერთად

განიხილა .

შეხვედრში ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა, მთავრობის უწყველარიის რეგიონებსა და თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი მელაშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და ზუგდიდის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ოზურგეთს რეფორმის შედეგად, თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მიენიჭება, უფლებამოსილებები მიეცემა და საკუთარი ბიუჯეტი ექნება, რომელიც მთლიანად ქალაქის განვითარებას მოხმარდება.

შეხვედრაზე, თემებში თვითმმართველობის განხორციელების საკითხებზეც გამახვილდა ყურადღება. როგორც ცნობილია, თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც მუნიციპალიტეტები ფორმირდება. თვითმმართველი ერთეულების მმართველი რგოლები არჩევითი იქნება. ასევე, განისაზღვრა ფისკალური დეცენტრალიზაციის გრძელვადიანი ხედვა, რაც თვითმმართველობებს მეტ ფინანსურ რესურსს გაუჩენს.

თვითმმართველობის კოდექსი თბილისის საკრებულოში განიხილეს 15 ნოემბერი, 2013 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, თენგიზ შერგელაშვილმა და მთავრობის უწყველარიის რეგიონებთან და თვითმმართველობებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ირაკლი მელაშვილმა თვითმმართველობის კოდექსი თბილისის საკრებულოს წარუდგინეს.

მინისტრის მოადგილის, თენგიზ შერგელაშვილის ინფორმაციით, შეხვედრაზე საკრებულოს წევრებისგან მოისმინეს კონკრეტული კითხვები და მოსაზრებები თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით.

„შეხვედრაზე თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ და საკრებულოს შენიშვნები მოვისმინეთ. თბილისელებისთვის ამ რეფორმაში სიახლე ის არის, რომ შეიქმნება საუბნო საბჭოები, რომლებიც მოქალაქეთა გააქტიურებას და თავისი ქალაქის მართვაში ჩართულობას შეუწყობს ხელს. ამასთან, რეფორმის შედეგად, თბილისის მთავრობასა და საკრებულოს შორის უფლებამოსილებები მკვეთრად გაიმიჯნება,“ - განაცხადა თენგიზ შერგელაშვილმა.

„შეხვედრაზე საკრებულოს წევრებმა დავსვით ჩვენთვის საინტერესო კითხვები, რომელიც არა მხოლოდ თბილისს, არამედ რეგიონებსაც ეხებოდა. საკრებულო შემჭიდროვებულ ვადებში შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს, რომელსაც სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს გადავუგზავნით და ვეცდებით, რომ ეს რეკომენდაციები გათვალისწინებული იყოს,“ - განაცხადა საკრებულოს წევრმა მამუკა ჯაციტაძემ.

მთავრობის უწყველარიის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი მელაშვილის ინფორმაციით, შეხვედრა კონსტრუქციულად მიმდინარეობდა და გამოთქმული შენიშვნების გარკვეული ნაწილის გათვალისწინებაც შესაძლებელია.

თვითმმართველობის კოდექსის წარდგენა დიპლომატიისა და დონორებისთვის 19 ნოემბერი, 2013 წ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ თვითმმართველობის კოდექსი დიპლომატიისა და დონორებს წარუდგინა. შეხვედრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი ხელმძღვანელობდა.

"თვითმმართველობის კოდექსს ორი სიახლე შემოაქვს, პირველი ეს არის თვითმმართველი ქალაქების გამოყოფა და მეორე მოქალაქეების ჩართულობა. ამავდროულად, გარკვეული ფუნქციების გადაცემა რეგიონულ დონეზე ხდება.

თვითმმართველობის რეფორმის საბოლოო ამოცანა ევროპაში მიღებული თვითმმართველობის სტანდარტების დამკვიდრებაა", – განაცხადა თენგიზ შერგელაშვილმა.

არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების განცხადება
25 ნოემბერი, 2013 წ.

როგორც ცნობილია, ხელისუფლების მიერ საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია თვითმმართველობის კოდექსის პროექტი და დაიწყო შესაბამისი საკანონმდებლო პროცესი .

ზემოაღნიშნული დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ძირეულ რეფორმას, არ ყოფილა განხილული პოლიტიკურ პარტიებთან და პრაქტიკულად ერთპარტიული თვითშემოქმედებაა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვეა შეწყდა საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობაც. ოპოზიციისთვის უცნობია ადგილობრივი არჩევნების მიახლოებითი თარიღი და საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპებიც კი.

იგივე უნდა ითქვას საკონსტიტუციო კომისიის შესახებაც, სადაც აგრეთვე არათანაბრადაა წარმოდგენილი პოლიტიკური სპექტრი.

წარმოდგენილი რეფორმის კონცეფცია ასევე არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და არ გაუვლია ვენეციის კომისიის და სხვა კომპეტენტური ორგანოების ექსპერტიზა.

ხელისუფლების ზემოაღნიშნული ქმედებები არ წარმოადგენს კონტექსტიდან ამოგლეჯილ ეპიზოდებს. "ქართული ოცნება", ისევე როგორც მისი წინამორბედი ავტორიტარული მთავრობები, ცდილობს მოიწიროს საარჩევნო გარემო, რათა უზრუნველყოს აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივ არჩევნებზე არაკონკურენტულ გარემოში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას:

დაუყოვნებლივ განახლდეს საარჩევნო კოდექსზე მუშაობა ინტერპარტიული ჯგუფის ფორმატში, საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, რათა 2014 წლის არჩევნებზე უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემის განვითარება;

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განხილულ იქნეს ღია ფორმატში, ოპოზიციური პარტიების მონაწილეობით და განხორციელდეს აღნიშნული პროექტის საერთაშორისო ექსპერტიზა.

ვთხოვთ საერთაშორისო საზოგადოებას, მაქსიმალური ყურადღება მიაქციოს ზემოაღნიშნულ პროცესს, რათა ანტიდემოკრატიულმა ტენდენციებმა ახალი ხელისუფლების პირობებში არ მიიღოს შეუქცევადი ხასიათი.

დავით წარმანია არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების ნაწილისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს
26 ნოემბერი, 2013 წ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით წარმანია არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს გამოეხმაურა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი კოდექსის შემუშავების პროცესში ჩართულნი არ იყვნენ.

"მე შემიძლია დავასახელო არასაპარლამენტო ოპოზიციის ის წარმომადგენლები, რომლებიც თვითმმართველობის კოდექსის შემუშავების პროცესში იყვნენ ჩართულნი და ვიდრე ეს პროექტი განსახილველად გამოვიდოდა, ზოგიერთ მათგანთან შესაბამისი კონსულტაციები იყო გავლილი და ისინი ძალიან ჯარგად იცნობდნენ ამას. უბრალოდ, მათ ახლა პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად სჭირდებათ ეს საკითხი და ამიტომ გადმოვიდნენ შეტევაზე. მე მათ, ვინც იცნობდა ამ

ყოდექსის პროექტს, ვერჩევდი, რომ აღიარონ სიმართლე, სხვა შემთხვევაში მე მათ სახელებსა და გვარებს დავასახელებ და ძალიან ცუდ დღეში ჩავარდებიან. თუმცა დღეს ამ ყველაფრისგან თავს შევიკავებ", - განაცხადა ნარმანია და დასძინა, რომ მისი უწყება "აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალეა".

"თუ ისინი საჯაროდ არ მოიხდინან ბოდიშს, მაშინ მე მათ სახელებსა და გვარებს დავასახელებ", - აღნიშნა მინისტრმა.

მისივე თქმით, ის პირები, ყოდექსის შემუშავების პროცესში არ იყვნენ ჩართულნი, მათ არც მიუმართავთ საამისოდ უწყებისთვის.

ბაჩუკი ქარდავა: „ბატონი ნარმანია, როგორც სჩანს, შეცდომაშია შეყვანილი“
26 ნოემბერი, 2013 წ.

ქარდავამ აღნიშნა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებისგან ბოდიშის მოხდაზე მინისტრის მოთხოვნას მის თავზე ვერ მიიღებს, რადგან „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“ თვითმმართველობის ყოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია.

“რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი არავითარ განხილვაში მონაწილეობის მიწვევა არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს არ მიუღიათ. უფრო კონკრეტულად რომ გითხრათ, „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“ თვითმმართველობის ყოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვის პროცესში ნამდვილად არ მონაწილეობდა. როგორც ჩანს ბატონი ნარმანია შეცდომაშია შეყვანილი და მე მის მოთხოვნას ვერც საკუთარ თავზე და ვერც „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზე“ ვერ მივიღებ.

რაც შეეხება ინტერფრაქციულ ჯგუფს, ჩვენ ვითხოვდით არჩევნებისთვის მსგავსი ჯგუფის ჩამოყალიბებას, რათა განხილვა მომხდარიყო არა უამათითა და დაპირისპირებით, არამედ კონსენსუსის მიღწევით. თვითმმართველობის არჩევნები მეტად მნიშვნელოვანი პროცესია ქვეყნისთვის, გასათვალისწინებელია ვენეციის კომისიის დასჯენაც.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რაც შეეხება ნარმანიას მოთხოვნას, ჩვენი მისამართით ვერ მივიღებ, რადგან არ ვიცი მინისტრი ვის ერჩის“, - განაცხადა „ნოპოსტთან“ საუბრისას ბაჩუკი ქარდავამ.

არასაპარლამენტო ოპოზიციამ "თვითმმართველობის ყოდექსი" ხელისუფლებასთან განიხილა.
28 ნოემბერი, 2013 წ.

"ქართული დასის“ ლიდერის ჯონდი ბალათურის ინიციატივით, არასაპარლამენტო ოპოზიციის ინფრასტრუქტურის სამინისტროში, სამინისტროს და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის წარმომადგენლებსა და არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრებს შეხვდა.

საპარლამენტო უმრავლესობამ თვითმმართველობის ყოდექსი დახურულ კარს მიღმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილთან ერთად განიხილა.

შერგელაშვილმა თვითმმართველობის ყოდექსზე საუბრისას აღნიშნა, რომ საზოგადოებაში არსებული აზრი, თითქოს თვითმმართველობის ყოდექსის მიხედვით რაიონების დანაწევრება მოხდება, არასწორია.

როგორც შერგელაშვილი აღნიშნავს, ყოდექსი საკმაოდ ვრცელია და ის ნაწილი, რომელიც მზად იქნება 2014 წლისთვის, ძალაში ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შევა.

"იქიდან გამომდინარე, რომ კანონპროექტი, საკმაოდ ვრცელია და მოიცავს რამდენიმე რაუნდს, ხდება ცალკეულ მუხლებზე განმარტებების მიცემა. რა სამუშაო უძღოდა თითოეულ მუხლს და მიმდინარეობს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი. ჩვენ არასამთავრობოებს შევხვდებით ისევე, როგორც არასაპარლამენტო ოპოზიციას.

საქართველოში 2006 წელს გააუქმეს თვითმმართველობა. გააუქმეს ათას ერთეულში და აიტანეს

რაიონულ დონეზე, ახლა საუბარია იმაზე, რომ მოხდეს ოპტიმიზაცია. ქალაქებს ჰქონდეს თვითმმართველობა, პირველ რიგში. იყოს მაქსიმალურად ახლოს ამომრჩეველთან ეკონომიკური და ბევრი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი არსებობს იმისთვის, რომ იყოს მოქალაქეებთან ახლოს. ამ მხრივ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი. იწყება ამ მრავალწლიანი პროექტის პირველი ეტაპი.

ის, რაც მზად იქნება 2014 წლის არჩევნებისთვის და აისახება მასზე, ხოლო ის, რაც მზად იქნება 2017 წლისთვის, იქნება 2017 წლისთვის," _ უთხრა შერგელაშვილმა "გურია ნიუსს".

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის განხილვამ დაპირისპირება გამოიწვია 30 ნოემბერი, 2013 წ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის განხილვა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ხმაურისა და დაპირისპირების ფონზე წარიმართა. შეხვედრაზე, სადაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები თვითმმართველობის კოდექსის შესახებ მსჯელობდნენ, დაპირისპირება მუშაობის ფორმატმა გამოიწვია.

არასაპარლამენტო პარტიები საკითხის განხილვის გაგრძელებას ინტერპარტიულ ფორმატში ითხოვენ. აღნიშნულ შეხვედრაზე კოდექსის მუხლობრივი განხილვა არ მომხდარა და პარტიებს საკუთარი შენიშვნები არ წარმოუდგენიათ.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილმა განაცხადა, ხელისუფლების მხრიდან მზადყოფნა იყო, რომ კანონპროექტის თითოეულ მუხლზე მსჯელობა მომხდარიყო, თუმცა, სამწუხაროდ, პოლიტიკურმა პარტიებმა მსჯელობა წარმართეს მხოლოდ ფორმატზე და მათ კანონპროექტთან დაკავშირებით არც ერთი შენიშვნა არ წარმოუდგინათ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის განხილვა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა. მას არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მათ შორის, გიორგი გუგავა, ჯონდი ბულათურია, ლევან ვეფხვაძე, გია კობახიძე, კახა კუკავა და ბაჩუკი ქარდავა.

პრემიერთან თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელეს 04 დეკემბერი, 2013 წ.

საქართველოს მთავრობამ თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელა, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრთან დღევანდელი სამუშაო შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს დეპუტატმა თინა ხიდაშელმა განუცხადა.

მისი განმარტებით, პარლამენტს მუშაობის ორი კვირა დარჩა, ხოლო მთავრობიდან ბევრი კანონპროექტია შესული, ამიტომ აუცილებელი იყო მსჯელობა, რომელი კანონპროექტის მიღება ეჩქარება მთავრობას.

როგორც თინა ხიდაშელმა აღნიშნა, შეხვედრაზე განხილვებოდა მთავრობაში შესული კანონპროექტები ბიუჯეტიდან დაწყებული თვითმმართველობის კოდექსით დამთავრებული.

"კანონპროექტები განვიხილეთ როგორც არსობრივად, ასევე ვიმსჯელეთ გრაფიკა და თანმიმდევრობაზე, რომლითაც მივდივართ. გავარჯიეთ, სად ეჩქარება მთავრობას და რა არის ის საკითხი, რომელიც მომავალი წლისთვის მოიცდის. შეხვედრის ძირითადი ნაწილი თვითმმართველობის კოდექსმა წაიღო და კოდექსთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პრინციპული შეთანხმება შედგა", - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

დეპუტატის ვარაუდით, თვითმმართველობის კოდექსს პარლამენტი მიმდინარე წელს მიიღებს. თინა ხიდაშელი არ გამორიცხავს კოდექსის სამივე მოსმენით მიღება ვერ მოესწროს, თუმცა ამ-

ბობს, რომ თვითმმართველობის ყოველქის განხილვა კომიტეტებში მიმდინარე უკირას დაიწყება.

"თვითმმართველობის ყოველქი სავარაუდოდ წელს იქნება მიღებული. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით ყველა კითხვა დაისვა და პრინციპული შეთანხმებაც შედგა", - აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

მინისტრთა კაბინეტი მთავრობის ყანცელარიაში პრემიერთან სამუშაო შეხვედრაზე 18:00 საათისთვის შეიკრიბა. შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე და რამდენიმე დეპუტატი.

დახურული სამუშაო შეხვედრა 4 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

პატრიარქი - რაც უწინააღმდეგება ღვთის კანონს, მართლმადიდებლობას - ქართველი ხალხი არ მიიღებს
04 დეკემბერი, 2013 წ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებით, გლობალიზაციის პროცესი გარდაუვალია, თუმცა აქედან უნდა მივიღოთ ის, რაც ჩვენთვის საჭიროა .

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საღვთისმშობლის სახელობის ღვთისმშობლის დარბაზის შემდეგ ქადაგებისას ბრძანა.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ დღეს მსოფლიოში ისეთი მოვლენები ვითარდება, რომელიც არ ყოფილა მთელი ისტორიის განმავლობაში, ომები, მრავალი ხალხის მღელვარება, ისეთი საკითხების განხილვა ხდება, რომელიც არ დამდგარა წარსულში.

"ეს უარყოფითი მოვლენები ადამიანს დააქინებს, ეს არის ერთსქესიანთა ქორწინებები, იმდენად მძიმე ცოდვაა, რომ ამის ხსენება ეკლესიაში არ შეიძლება. დიდება და მადლობა უფალს, რომ ჩვენი ერი, ხალხი გრძნობს ამ ცოდვას. გლობალიზაციის პროცესი, რომელიც ვითარდება მსოფლიოში, არ შეიძლება ჩვენ შევაჩეროთ, ეს გარდაუვალი პროცესია, მაგრამ აქედან ჩვენ უნდა ავირჩიოთ ის, რაც ჩვენთვის საჭიროა, რაც უწინააღმდეგება ღვთის კანონს, მართლმადიდებლობას - ქართველი ხალხი არ მიიღებს. შემთხვევით არ არის ნათქვამი იოანე ზოსიმეს მიერ: "ამით უნით, ქართულითა უნითა განიკითხება მსოფლიო", ეს არის ნიშანი იმისა, რომ ქართველი ხალხი შეინარჩუნებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას", - აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

მანანა კობახიძე - დავინტერესდები, გავიგო სიღრმეებში, რა საფრთხეებს ხედავს საპატრიარქო თვითმმართველობის კანონში
04 დეკემბერი, 2013 წ.

დავინტერესდები, გავიგო სიღრმეებში, რა საფრთხეებს ხედავს საპატრიარქო თვითმმართველობის კანონში, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, მანანა კობახიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ამით პარლამენტის ვიცე სპიკერი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვით "თუ თვითმმართველობის კანონი განხორციელდა, ეს საქართველოს დაშლას გამოიწვევს".

მანანა კობახიძის განცხადებით, პატრიარქს ხელისუფლება ყურს უგდებს და საპატრიარქოს პოზიცია ყოველთვის მნიშვნელოვანია.

"ეს კანონპროექტი განხილვის საგანია. მისთვის პარლამენტს უკერ კენჭი არ უყრია. ეს არის საკითხი, რომელზეც ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ. ამ პროცესში ყველას პოზიცია, მათ შორის ოპონენტების, მოწინააღმდეგეების, მომხრეების, უნდა იყოს გათვალისწინებული. მხოლოდ ამ ფართო კონსულსის და მხარდაჭერის მოპოვების შემდეგ უნდა იყოს გადამწყვეტილება მიღებული. ვფიქრობ, პატრიარქს ალბათ თავისი მოსაზრებები აქვს, რასთან დაკავშირებით ამბობს ამ ყველაფერს",-გა-

ნაცხადა მანანა კობახიძემ.

თვითმმართველობის კანონი თუ განხორციელდა, ეს საქართველოს დაშლა იქნება, - ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ განაცხადა.

ნარმანია: "თვითმმართველობის კოდექსი არსებითი საფრთხეების შემცველი არასდროს ყოფილა"
05 დეკემბერი, 2013 წ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას განცხადებით, თვითმმართველობის კოდექსის პროექტში რამდენიმე ნორმა შეიცვალა.

"ჩვენ გავითვალისწინეთ როგორც შშს რეკომენდაციები, ისე ფინანსთა სამინისტროს პენიშვნები. არასდროს ყოფილა ეს კოდექსი არსებითი საფრთხის შემცველი, მაგრამ შესაბამისი ნორმა კიდევ უფრო შევარბილეთ", - განმარტა ნარმანია.

თამარ ჯორძია - თვითმმართველობის კოდექსი დამლუპველი არ იქნება
05 დეკემბერი, 2013 წ.

საზოგადოებას სრულიად შემამფოთებლად აწვდიან ინფორმაციას თითქოს თვითმმართველობის რეფორმა ქვეყნის დაშლას გამოიწვევს, - ასე უპასუხა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თამარ ჯორჯიამ ჟურნალისტის კითხვას, რომელიც პატრიარქის განცხადებას შეეხებოდა. მისი თქმით, მას არც ერთი სერიოზული არგუმენტი არ მოუსმენია რატომ გამოიწვევს კანონი მიღების შემთხვევაში ქვეყნის დაშლას.

"ვერ გავიზიარებ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ეს კანონი დაიწერა და განიხილებოდა ფარულად. კანონპროექტის ავტორები რეგიონებში ატარებდნენ შეხვედრებს სწორედ ამ საკითხზე. ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებებს, როდესაც საზოგადოებას სრულიად დაუსაბუთებლად აწვდიან შემამფოთებელ ინფორმაციას თითქოს ეს გამოიწვევს ქვეყნის დაშლას. ამასთან დაკავშირებით მე არ მომისმენია არც ერთი სერიოზული არგუმენტი, საქმიანი მოსაზრება, ამიტომაც მაქვს მსგავსი რეაქცია როდესაც ვისმენ, რომ შესაძლოა ეს კანონი დამლუპველი იყოს ჩვენი ქვეყნისთვის. დამლუპველი არ იქნება ეს ფაქტია და პირიქით, დაპირება იყო ხელისუფლების, რომ ძირეული რეფორმა მოხდებოდა", - განაცხადა ჯორჯიამ და აღნიშნა, რომ ასევე დაუსაბუთებელია მოსაზრებები სეპარატიზმის საფრთხესთან დაკავშირებით.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თვითმმართველობის კოდექსის პროექტზე საუბრისას აღნიშნა, თუ კანონი განხორციელდა, ეს საქართველოს დაშლა იქნება. ამის საპასუხოდ, თამარ ჯორჯიამ განაცხადა, რომ საპატრიარქო ზედმეტად ერევა ხელისუფლების საქმიანობაში.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მთავრობას და პარლამენტს მოუწოდეს, თვითმმართველობის რეფორმა არ შეაჩერონ
05 დეკემბერი, 2013 წ.

21 არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადება "პირველი პრესკლუბში" არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის" თავმჯდომარემ კოტე ჯანდელაძემ წარმოადგინა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების განმარტებით, თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებული მოსაზრებები, რომ რეფორმის განხორციელების შემთხვევაში სეპარატიზმი და ქვეყნის დაქუცმაცებაა მოსალოდნელი, უსაფუძვლოა.

"ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციებს მიგვაჩნია, რომ მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობების განხორციელების იდეა უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენს, რომელსაც

დემოკრატიული მმართველობის მთელი სისტემა ემყარება. ქვეყნის განვითარების უმთავრესი საფუძველია ძლიერი თვითმმართველობა, სადაც მოქალაქეები საკუთარი პასუხისმგებლობით, არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საშუალებით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეუღებავად ამ უმნიშვნელოვანეს უფლებას ახორციელებენ, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს მიერ რატიფიცირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიით აქვთ მინიჭებული. ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი საჭიროებების დამოუკიდებლად გადაწყვეტის იდეა შესაძლოა, სეპარატიზმის გაღვივების და ქვეყნის დაქვემდებარების საფუძველი გახდეს. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს, როგორც მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზების მთავარ გარანტს, არ აყენენ თვითმმართველობის იდეის დისკრედიტაციის ტალღას და რეფორმის პროცესი არ შეაჩერონ", - ნათქვამია განცხადებაში.

კოტე ჯანდელაქია და მამუკა აბულაძემ ხელისუფლებას მოუწოდეს, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის განხილვა არ შეაჩერონ
06 დეკემბერი, 2013 წ.

"პირველ პრესკლუბში" გამართულ პრესკონფერენციაზე თვითმმართველობის ექსპერტებმა ხელისუფლებას მოუწოდეს, გარე შემოტევას არ აწყვეს და ეს პროცესი დეკემბერში ბოლომდე მიიყვანოს.

ამასთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი მრჩეველთა საბჭოს წევრმა მამუკა აბულაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფციის თანაავტორმა კოტე ჯანდელაქია არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების ის ნაწილი წარმოადგინეს, რომლებშიც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაზეა საუბარი.

ექსპერტების თქმით, აღნიშნული პარტიების ხედვა დღევანდელი სამთავრობო სტრატეგიის დებულებიდან გამომდინარეობს და სრულად ემთხვევა იმას, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსშია განწერილი.

"მთავარია, რომ ეს პარტიები, რომლებიც დღეს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის წინააღმდეგ გამოდიან, თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამებით მხარს უჭერენ იმას, რაზეც საუბარია სამთავრობო სტრატეგიასა და კოდექსში. რა მიზანს ემსახურება ეს, საზოგადოებამ დასჯენა თავად გამოიტანოს. ერთი ესაა პოპულიზმი, ან მეორე - ვილაცის დაქვეთაა. გამოდის, რომ ისინი ამომრჩეველს ამ მაშინ ატყუებდნენ, როდესაც საკუთარ საარჩევნო პროგრამას აცნობდნენ, ან ახლა ატყუებენ", - განაცხადა ჯანდელაქია.

ამასთან, მათივე განცხადებით, უახა უკუავასა და მამუკა კაციტაძეს 2005 წელს ხელი აქვთ მოწერილი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებულ სტრატეგიაზე.

მამუკა აბულაძის თქმით, არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს 9 თვე ჰქონდათ იმისთვის, რომ კოდექსთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები დაეფიქსირებინათ, თუმცა მათ ამ ხნის განმავლობაში კრიტიკა არ გამოუთქვამთ.

გარდა ამისა, ექსპერტების ინფორმაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაცია აპირებს, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოს იმ მოტივით, რომ სამინისტრომ ადგილობრივ თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით ასოციაციასთან კონსულტაციები არ გაიარა.

მამუკა აბულაძის თქმით, ეს ტყუილია და მათ ასოციაციის ექსპერტებთან არაერთი შეხვედრა და დისკუსია ჰქონიათ.

არასაპარლამენტო პარტიები თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით ხელისუფლებას შეხვდნენ
08 დეკემბერი, 2013 წ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში არასაპარლამენტო პარტიებ-

სა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის თემას თვითმმართველობის კოდექსი წარმოადგენდა. პარტიებმა ხელისუფლებას საკუთარი შენიშვნები წარუდგინეს.

"ძირითადად საქმე შეეხება იმ საფრთხეებს, რაც შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის დამტკიცებულ ავტონომიურ ერთეულებად.

არასაპარლამენტო პარტიები მიიჩნევენ, რომ ეს საკითხი არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის გადასაწყვეტ თემას და აუცილებელია თვითმმართველობის კოდექსი განხილულ იქნას ინტერპარტიულ ფორმატში. ასევე მნიშვნელოვანია დაინყოს მსჯელობა საარჩევნო კანონმდებლობაზე. თვითმმართველობის კოდექსის საკომიტეტო განხილვები მომავალ კვირას არის დაგეგმილი. პარტია "თავისუფალი საქართველო" აქტიურ მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ პროცესში", - ნათქვამია "თავისუფალი საქართველოს" ინფორმაციაში.

თეა წულუკიანი - თვითმმართველობის კოდექსზე გამოთქმული შეშფოთებები გადაჭარბებულია 09 დეკემბერი, 2013 წ.

თვითმმართველობის კოდექსზე გამოთქმული შეშფოთებები, ჩემი აზრით, გადაჭარბებულია, - ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

მისი თქმით, გადაჭარბებულია იქიდან გამომდინარე, რომ ამ კოდექსმა, ვიდრე მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივად იქცეოდა, ძალიან ბევრი უწყების, იურისტის ხელში გაიარა და პრაქტიკულად სამართლებრივად დახვეწილი დოკუმენტია.

"თუმცა სამართლებრივი კუთხით რამდენიმე შენიშვნა ჩვენ ჯერ კიდევ გვრჩება და საპარლამენტო განხილვის დროს ეს კიდევ დაიხვეწება. რაც შეეხება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს, რომელიც ამ კოდექსიდან შეიძლება გამომდინარეობს, როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, შესაბამისმა სამინისტრომ, პარლამენტმა და სხვადასხვა უწყებებმა იმუშავეს, რომ შიშის და შეშფოთების ყველანაირი საფუძველი აღმოფხვრილიყო", - განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის თქმით, ქვეყანამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიაღწიოს იმას, რომ როდესაც ადგილობრივი ტიპის პრობლემები გადასაჭრელია, ყველაფერი თბილისიდან არ უნდა წყდებოდეს.

"ეს იქნება გაზის, ნაგვის, თუ სხვა თემა. ამ დროს ადგილობრივი ხელისუფლება უნდა იყოს რეალურად პასუხისმგებელი იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს ადგილობრივ დონეზე ხალხი", - აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ირაკლი მელაშვილი - თვითმმართველობის რეფორმა აუცილებელია, რადგან სისტემა სუპერცენტრალიზებულია 09 დეკემბერი, 2013 წ.

მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი მელაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქს კიდევ შვიდი თვითმმართველი ქალაქი დაემატება. ესენია: თელავი, გორი, მცხეთა, ახალციხე, ამბროლაური, ოზურგეთი და ზუგდიდი. მისივე ინფორმაციით, ამ დროისთვის კოდექსთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების თანახმად, თვითმმართველობას გრანტის აღება მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს თანხმობით შეიძლება. ამასთან, ამ ეტაპზე სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოები არ შეიქმნება და მათ იურიდიული სტატუსი არ მიენიჭებათ.

ირაკლი მელაშვილის შეფასებით, თვითმმართველობის რეფორმა აუცილებელია, რადგან სისტემა სუპერცენტრალიზებულია და ფინანსების 97%, ასევე უფლებამოსილებები ცენტრალური ხელისუფლების ხელშია.

ამასთან, როგორც მთავრობის ქანცელარიის რეგიონებთან და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნა, ზოგადად, თვითმმართველობის განვითარება ბევრ ქვეყანაში სეპარატისტული ტენდენციების შესაჩერებლად იქნა გამოყენებული.

პარლამენტში თვითმმართველობის კოდექსის განხილვა დაიწყო 10 დეკემბერი, 2013 წ.

პარლამენტში თვითმმართველობის კოდექსის პროექტის განხილვა იურიდიულ საკითხთა, ჯანდაცვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დაიწყო.

დეპუტატებს თვითმმართველობის კოდექსის პროექტის ზოგადი შინაარსი გააცნო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა.

სხდომას საპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად არასაპარლამენტო ოპოზიციაც ესწრებოდა. მათ, კითხვების დასმისა და საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალებაც მიეცათ.

გიორგი ახვლედიანის შეფასებით, თვითმმართველობის კოდექსში სეპარატიზმის საფრთხები განეიტრალებულია 13 დეკემბერი, 2013 წ.

როგორც "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა, ხელი-სუფლებამ საზოგადოების დიდი ნაწილის შენიშვნები გაითვალისწინა და კოდექსის პროექტში ასახა, თუმცა მისივე თქმით, არსებობს ბევრი გაურკვეველი საკითხი.

"რაც შეეხება იმ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც თვითმმართველობის კოდექსის პროექტის პირველ ვარიანტში იყო და რომელზეც საზოგადოების ძალიან ფართო ფენებმა გამოთქვეს პროტესტი, მათი ნაწილის მოგვარება მოხერხდა, მაგრამ გარკვეული პრობლემები კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის შეჯერება მოხერხდა, რომელიც უკავშირდებოდა სამხარეო-რეგიონულ დონეზე მინიციპალიტეტების საბჭოების შექმნას, რომელსაც "ქრისტიან-დემოკრატებიც" და სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციაც პირდაპირპროპორციულად ვუკავშირებდით სეპარატიზმის საფრთხის გაღვივების პერსპექტივას ქვეყანაში. დღეს შეიძლება ითვას, რომ ეს საფრთხე განეიტრალებულია იმ თვალსაზრისით, რომ სამხარეო დონეზე არავითარი საჯარო სამართლის იურიდიული პირი საბჭოს სახით არ შეიქმნება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო, ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იმ ძალებისა, რომლებიც ამაში საფრთხეს ხედავდნენ", - განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

პარლამენტმა თვითმმართველობის კოდექსი პირველი მოსმენით მიიღო 13 დეკემბერი, 2013 წ.

პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტი პირველი მოსმენით მიიღო. პროექტს 82-მა დეპუტატმა არც ერთის წინააღმდეგ დაუჭირა მხარი. განხილვასა და ენჭისყრას საპარლამენტო უმცირესობა გამოცხადებული ბოიკოტის გამო არ ესწრებოდა.

წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტით, რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ორგანიზებასთან, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებთან და მის ორგანოებთან, დედაქალაქის სტატუსთან და მის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული საკითხები.

პროექტი ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეებასთან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, სახელმწიფო ზედამხედველობასთან, აუდიტთან და პირდაპირ სახელმწიფო მმართველობასთან და მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ცვლილების თანახმად, არსებულ 5 თვითმმართველ ქალაქს დაემატება დღევანდელი სამხარეო ცენტრების უძველეს 7 ქალაქი და სულ 12 თვითმმართველი ქალაქი იქნება, სადაც მერები პირდაპირი

წესით აღიწევინ.

დუბუტატ გია ჟორჯოლიანის აზრით, ეს 7 ქალაქი არჩევნებამდე უნდა გამოიყოს და იქ არჩევნები ცალკე უნდა ჩატარდეს.

როგორც ჟორჯოლიანი აცხადებს, დარჩენილი ტერიტორიები როგორ დაიყოფა ეს განსაზღვრულია იმ წესით, რომლებიც გარდამავალ დებულებებშია წარმოდგენილი, მაგრამ ეს წესი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმისგან, რაც დღეს მოქმედებს.

ამასთან, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ რეგიონული კოლეგიური ორგანოების ნაცვლად საკონსულტაციო ფუნქციების საბჭოები შეიქმნება, რომლის შემადგენლობაში პოლიტიკური წარმომადგენლობის ნაცვლად არჩეული მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები იქნებიან.

საკონსულტაციო საბჭოების წევრები მონაწილეობას მიიღებენ კონსულტაციებში, განხილვებში, მუნიციპალიტეტთა შორის საკითხებისა და პროექტების განხილვაში. მათ არ ექნებათ ის უფლებამოსილებები, რაც ადრე იყო კანონპროექტში წარმოდგენილი, მათ შორის გუბერნატორის გადაყენების უფლებამოსილება, ანუ მას წმინდა საკონსულტაციო ფუნქცია ექნება.

[გიორგი ვაშაძე: თვითმმართველობის კოდექსი მმართველობის კოდექსია 13 დეკემბერი, 2013 წ.](#)

საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა ბრიფინგი გამართეს და თვითმმართველობის კოდექსზე საკუთარ შენიშვნებზე ისაუბრეს.

გიორგი ვაშაძის თქმით, სამწუხაროდ, თვითმმართველობის კოდექსი უკვე არის არა თვითმმართველობის, არამედ მმართველობის კოდექსი:

"ორი მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს: გუბერნატორის ინსტიტუტი არ უნდა იყოს თვითმმართველობის კანონში, რომელსაც ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლება და არჩეული მერების და გამგებლების გადაყენება ყოველ მიზეზგარეშე, ნებისმიერი საფუძვლით არ უნდა შეეძლოს საკრებულოს."

მისივე თქმით, საჭიროა კრიტიკიუმი, რომლის მიხედვითაც თვითმმართველი ქალაქების რიცხვი გაიზარდა. ასეთ კრიტიკიუმად ვაშაძე მოსახლეობის რაოდენობას ასახელებს:

"ჩვენ ასევე წინააღმდეგი ვართ თვითმმართველი ქალაქების ირგვლივ სოფლების პატარა მუნიციპალიტეტებად დაშლის, იმიტომ, რომ ეს არის პრობლემა ადამიანებისთვის და მოქალაქეებისთვის, ვინც იქ ცხოვრობენ. ეს ხელოვნური პროცესი იქნება და ვამბობთ, რომ თვითმმართველი ქალაქი უნდა შეიქმნას არა მარტო იმ 7 ქალაქში, არამედ ყველგან, სადაც 10 ათასზე მეტი მოსახლეობაა. ასეთ შემთხვევაში თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა იქნება 25 და მის გარშემო არსებული რაიონები იქნება თვითმმართველი რაიონები" - განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

[არასამთავრობოები - "ადგილობრივი თვითმმართველობის" კოდექსის პროექტი მერებისა და გამგებლების ინსტიტუტის მნიშვნელობას ასუსტებს 16 დეკემბერი, 2013 წ.](#)

არასამთავრობო სექტორის ერთ ნაწილის შეფასებით, "ადგილობრივი თვითმმართველობის" კოდექსის პარლამენტისთვის შეთავაზებული პროექტი მერებისა და გამგებლების ინსტიტუტის მნიშვნელობას ასუსტებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" განაცხადება გაავრცელეს.

"საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი "ადგილობრივი თვითმმართველობის" კოდექსის

პროექტით შემოთავაზებულია ისეთი მნიშვნელოვანი სიახლე, როგორცაა გამგებლების (მერების) პირდაპირი წესით არჩევა, რაც, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაციების მოთხოვნას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებს ნორმას, რომელიც არჩევითი მერებისა და გამგებლების ინსტიტუტის მნიშვნელობას ასუსტებს.

"ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ არჩეული გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადების უფლება ეძლევა საკრებულოს, რის განსახორციელებლადაც საკმარისი იქნება საკრებულოს წევრთა გარკვეული ჯგუფი, მაქსიმუმ 15-20 წევრი. ამასთან, პროექტით განსაზღვრულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაში შეუძლია საკრებულოს დაიწყოს უნდობლობის პროცედურა, რაც შესაძლებლობას მისცემს საკრებულოს გამოიყენოს უნდობლობის პროცედურა იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს უმრავლესობასა და გამგებელს (მერს) შორის არსებობს პარტიული ან სხვა სახის დაპირისპირება. გარდა იმისა, რომ მოცემული წესით გამგებლის (მერის) გადაყენება წინააღმდეგობაში მოდის მოსახლეობის მიერ გაკეთებულ არჩევანთან და მათ მიერ გამოხატულ ნებასთან, ნორმამ შესაძლებელია პოლიტიკურად არასტაბილური გარემო შექმნას. პროექტის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკრებულოს შესაძლებლობა ეძლევა გამგებლის (მერის) უფლებამოსილების ერთი ვადის განმავლობაში რამდენჯერმე განახორციელოს უნდობლობის პროცედურა. აღნიშნული კი გამოიწვევს იმას, რომ გამგებელი (მერი) მისი საქმიანობის განხორციელებისას უფრო მეტად იქნება დამოუკიდებელი საკრებულოს და მასში შემავალი პოლიტიკური პარტიების კეთილგანწყობილებაზე, რათა ამ უქანასენელმა ინიცირება არ გაუკეთოს მის წინააღმდეგ უნდობლობის პროცედურას, რაც, თავის მხრივ, გავლენას მოახდენს გამგებლის (მერის) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე", - განმარტავს არასამთავრობო სექტორის ნაწილი.

აღნიშნული ორგანიზაციების შეფასებით, თანამდებობის პირების პირდაპირი წესით არჩევის მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის ორგანოთა ფორმირებაში, არჩეული თანამდებობის პირის/ორგანოს სტაბილურობა და დამოუკიდებლობა.

"საკრებულოსთვის მსგავსი უფლების მინიჭების შედეგად მივიღებთ იმავე რეალობას, რაც დღეს მოქმედი კოდექსით არის დადგენილი, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარეს შეუძლია თანამდებობიდან გაათავისუფლოს გამგებელი საკრებულოს თანხმობით, რისი სამწუხარო მაგალითებიც მრავლად ვნახეთ 2013 წლის განმავლობაში. შესაბამისად, ასეთი დათქმა ამცირებს ამ თანამდებობის პირების პირდაპირი წესით არჩევის არსს და მნიშვნელობას.

ამასთანავე, გვსურს აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტს არ ერთვის საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული ცვლილებების პროექტი. ვთვლით, რომ სწორედ სამართლიანი საარჩევნო სისტემა წარმოადგენს ადგილობრივ თვითმმართველობის რეფორმის წარმატებულად განხორციელების წინაპირობას და მასზე მსჯელობა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს", - განმარტებულია განცხადებაში.

ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ საარჩევნო სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ ძირითად მოთხოვნებს, როგორცაა: ამომრჩეველთა ნების პროპორციულად გარდასახვა მანდატებში; ამომრჩეველთა დაქარგული ხმების რაოდენობის შემცირება; ამომრჩეველთა ხმის თანაბარი წონა; საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების, მცირე პარტიების და დამოუკიდებელი კანდიდატების წარმომადგენლობა; არჩევნებისადმი ნდობის გაზრდა და ძლიერ კანდიდატებზე ორიენტირება.

"გვსურს, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საარჩევნო სისტემაზე შეთანხმება უნდა მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით და კონსენსუსის გზით, რაც დიდ დროს და შრომას მოითხოვს. შესაბამისად, სასურველია, უმოკლეს ვადებში დაიწყოს მუშაობა აღნიშნულ საკითხზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები მომავალშიც აქტიურად იქნებიან ჩართული თვითმმართველობის რეფორმის პროცესში და ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებებს წარუდგენს საზოგადოებასა და საქართველოს პარლამენტს", - აცხადებენ აღნიშნული ორგანიზაციები.

ელექტრონული ბიულეტენი „თვითგმარტველობის ღრთა“ შექმნილია სამოქალაქო ხელტურის სართაშორისო ცენტრის მიერ, ფონდ „ღია სოგოდოება - საქარტველოს“ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო სოგოდოება დაცენტრალიზაციისათვი“ ფარგლებში.

ბიულეტენში გაშუქდება როგორც მუნიციპალიტატებში მიმდინარე ყოველდღიური პროცესები, ისე აღგილობრივი თვითგმარტველობის რაფორმის პროცესის მიმდინარეობა. იმედს ვიტოვებთ, რომ ბიულეტენში მოცემული ინფორმაცია სინტარესო იქნება აღგილობრივი თვითგმარტველობით დინტარესებული ვირებისათვის.

მის შინარსში ვასახისგებაელია „სამოქალაქო ხელტურის სართაშორისო ცენტრი“ და იგი არ ასახავს ფონდ „ღია სოგოდოება - საქარტველოს“ შეხედულებებს.

თქვენი შენიშვნები და წინადადებაები გამოგვიგზავნეთ ელფოსტაში - office@iccc.org.ge

© სამოქალაქო ხელტურის სართაშორისო ცენტრი
www.lsg.ge www.ivote.ge